გაზეთის ფასი:

12 თვით	. . 10 მ.	— კ.
11 ,,	. . 9 ,,	50 ,,
10 ,,	. . 8 ,,	75 ,,
9 ,,	. . 8 ,,	— ,,
8 ,,	. . 7 ,,	25 ,,
7 ,,	. . 6 ,,	50 ,,
6 ,,	. . 6 ,,	— ,,
5 ,,	. . 5 ,,	50 ,,
4 ,,	. . 4 ,,	75 ,,
3 ,,	. . 3 ,,	50 ,,
2 ,,	. . 2 ,,	75 ,,
1 ,,	. . 1 ,,	50 ,,

ივერია

№ 30 ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 30

წლიურის ფასის ნაწილ-ნაწილად შემოტანის ვადა
1. ხელის მოწერის დროს—5 მ. და თიბათვის 1-ს—5 მ.
2. ხელის მოწერის დროს—4 მ., მარტის 1-ს—3 მან. და მარიამობისთვის 1-ს—3 მ.
3. ხელის მოწერის დროს—3 მ., მარტის 1-ს—3 მ. თიბათვის 1 ს—2 მ. და ენკენისთვის 1-ს—2 მ.
ვინც ამ ვადაზედ ფულს არ შემოიტანს, გაზეთის გაგზავნა მოესპობა.

ვაუწყებთ „ივერიის" ტფილისის ხელის მომწერლებს, რომ ამას შემდეგ დილის დეპეშები ნაშუადღევს დაურიგდებათ.

რედაქციისაგან

1 თებერვლიდან ჰმოქმედობს ქუთაისში განყოფილება ჩვენის გაზეთის კანტორისა. ხელის-მომწერთ და აგრეთვე განცხადების დაბეჭდვის მსურველთ ქუთაისში შეუძლიანთ მიჰმართონ პირდაპირ ამ კანტორას.

გამოვიდა და იყიდება წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიაში ახალი წიგნი

ღალატი

დრამა-ლეგენდა თ-დ ალ. სუმბათაშვილისა,
ავტორის სურათით და წინასიტყვაობით,
თარგმანი გრ. ყიფშიძისა
გამოცემა «ივერიის» ამხანაგობისა.
ფასი ერთი მანეთი

„ივერიის" ხელის მომწერთ, რომელთაც სრულად არა აქვთ წლიური ფასი შემოტანილი, წიგნი დაეთმობათ თვით რედაქციაში ათ შაურად.

1904 წელს

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„ივერია"

გამოვა იმავე სივრცით და სრულის პროგრამით, როგორც დღემდე გამოდიოდა.

რედაქცია ყოველს ღონისძიებას იხმარს, რომ გაზეთი გააუმჯობესოს. იმ თანამშრომელთა გარდა, რომელნიც აქამდე მონაწილეობას იღებდნენ, რედაქციას სხვა ჩვენი მწერლებიც დაჰპირდნენ დახმარებასა და თანამშრომლობას. ფასი გაზეთისა მთელის წლით ისევ **თუმანია**. ამ ფულის შემოტანა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება.

1904 წლის ხელის-მომწერთ, რომელნიც სრულ ფასს შემოიტანენ 1 თებერვლამდე, დაურიგდებათ პრემიად გრაფ ლ. ნ. ტოლსტოის რომანი **„აღდგომა"** („Воскресеніе") და ალ. სუმბათაშვილის დრამა **„ღალატი"** (Измѣна). ეს უკანასკნელი წიგნი იბეჭდება, ავტორის სურათით და ხელის მოწერით, თებერვლის გასულს დაურიგდებათ.

5 მანეთად ტფილისში და **7** მანეთად ტფილისს გარეშე

დაეთმობათ გაზეთი უპრემიოდ: სოფლის მასწავლებელთ, უფასო სამკითხველოებსა, უმაღლეს სასწავლებელთა მოსწავლეთ და ყველა ხელოსანს. ამათაც შეუძლიანთ ფული ნაწილ-ნაწილად შემოიტანონ.

გაზ. „ივერიის" **კანტორა** ყოველ-დღე ღია არის—დილის 9 საათიდამ 3 საათამდე და საღამოს 5 საათიდამ 8-მდე; კვირა და უქმე დღეს—12 საათ. 2 საათამდე.

რედაქციას ნება აქვს შეამოკლოს და შეასწოროს დასაბეჭდად გამოგზავნილი წერილი, არ დაბეჭდილ წერილების შესახებ რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას არ კისრულობს.

ხელის-მოწერა მიიღება:

ტფილისში:—„ივერიის" რედაქცია (თავად-აზნაურთა ქარვასლა №№ 117 და 118) და ქ. შ. წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზია (სასახლის ქუჩა, თავ.-აზნაურთა ქარვასლა.

ქუთაისში:—წიგნ. გამომც. ამხანაგობის კიოსკში, ბეჟანიშვილის და წერეთლის წიგნის მაღაზიაში.

ბათომში:—ნიკოლაძის ჟურნალ-გაზეთების სააგენტოში და ჰელიძის წიგნის მაღაზიაში.

საგურამოში:—პეტრე მაჭავარიანთან.

შორაპანში:—პართენ ნასიძესთან.

განჯაში:—სოფრომ კანდელაკთან (სადგურზედ).

გორში:—ანტონ კასრაძესთან.

განცხადება პირველ გვერდზედ—15 კაპ. სტრ., მეოთხეზედ—10 კაპ. მთელი გვერდი გაზეთისა ცალკე მორიგებით.

საფოსტო ადრესი: Тифлисъ, Редакція „Иверіа".

თავადი თათარხან თენგიზისძე დადეშქელიანი ძმებითურთ აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთა, რომ ტირილი და ორმოცის წირვა

თავადის ლევან თენგიზის ძის დადეშქელიანისა,

გარდაცვალებულის 21-ს დეკემბერს 1903 წ. და დასაფლავებულის 3- იანვარს გვარეულთ სამარხში იქნება 18 მარტს 1904 წლისას. (3—2)

როინაშვილისეული ფოტოგრაფია.

ამ წლის პირველ ღვინობისთვიდამ „ქ. შ. წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოებისა

ფოტოგრაფია

როინაშვილისეული (ერევნის მოედანი, ხარაზოვის სახლი,

იჯარით აქვიდმ

და სრულიად ახლად მოვაწყე იარაღით და მომუშავე ხალხით.

ფოტოგრაფია შეასრულებს შემდეგს საქმეებს:

1) გადაიღებს ყოველ ზომის პორტრეტებს;

2) გაადიდებს ძველ თუ ახალ სურათებს;

3) ვინც ერთ დუჟინზე არა ნაკლებ კაბინეტის სურათს შემოუკვეთს ჩემს ფოტოგრაფიას, მეცამეტე სურათი, მიეცემა **მუქთად** აკვარელით (ფერადებით) საუცხოოდ დახატული.

4) გარდა ამისა, ფოტოგრაფიას მრავლად აქვს გასაყიდად სურათები ძველის ნაშთებისა, ნანგრევების და საზოგადო მოღვაწეთა სურათები.

ყოველ შეკვეთილ საქმეს ფოტოგრაფია შეასრულებს თავის დროზე, კარგად და ზომიერ ფასად.

მოსწავლეთ ფოტოგრაფია დაიღებს დაკლებულ ფასად.

პატივის ცემით მოიჯარადრე მხატვარი **ტარასი სიმონი მე მომცემიმე.**

საყვედლიერო რეპერტუარი

ქართული თეატრი

შაბათს, 7 თებერვალს,
ბენეფისი მეორე ხარისხოვან არტისტებისა, სუფლიორისა და სცენარიუსისა.

სამშობლო

დრ. 5 მოქ. ერისთავისა.

კვირას, 8 თებერვალს,
უკანასკნელი წარმოდგენა
ბენეფისი რეჟისორის თ. აკაკი წერეთლისა
ქ-ნ ანდრონიკაშვილის მონაწილეობით

თამარ ცბიერი

დრ. 5 მოქ. აკაკი წერეთლისა.
ყველა წარმოდგენებზე—ადგილების ფასი მომატებულია.
მონაწილეობას მიიღებს მთელი დასი.
რეჟისორი აკაკი.

ტფილისის სახაზინო თეატრი

რუსული ოპერა

ანტრეპრიზა მისის უდიდებულესობის სოლისტის ნ. ნ. ფიგნერისა.

პარასკევს, 6 თებერვალს, 1904 წ.

წარმოდგენილი იქნება ორი სპექტაკლი: დილის ხელმისაწვდომ ფასად.

სნეგუროჩკა

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი: კარლოვინა, სელიუკ-როჟანოვსკაია, მელნიკოვა, კალინინა, დლლინა, სკორუპსკაია; ბ-ნნი სელიავინი, ილიუშჩენკო, ეგლახოვი, თუღაევი, კლიუზნერი, გრინევი, გავრილოვი.

იცეკვებენ: ბ-ნნი ვიტტიგი, ადლერი და მთელი კორდებალეტი.

კაპელმეისტერი ი. ა. პრიბიკი.

უფროსი რეჟისორი ნ. ნ. ბოგოლიუბოვი.

დასაწყისი $12^1/_2$ საათ. დღით

საღამოთი ბენეფისი ი. ა. გლადკოვისა მისის უდიდებულესობის სოლისტის ნ. ნ. ფიგნერის მონაწილეობით

წარმოდგენილი იქნება

ევგენი ონეგინი

ოპერა 3 მოქ. 7 სურ. მუს. ჩაიკოვსკისა.

მონაწილეობას მიიღებენ ქ-ნნი: ენგვისტი, კარრი, კალინინა, დლლინა; ბ-ნნი ფიგნერი, სელიავინი, გლადკოვი, ფედოროვი, პერელდი, გავრილოვი, გრინევი.

იცეკვებს მთელი კორდებალეტი.

კაპელმეისტერი ბ-ნი ესპოზიტო.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

წერა-კითხვის საზოგადოების მიერ გამოცემული „კედლის" და „საქართველოს" კალენდარი იყიდება ფას დაკლებით, ე. ი. „კედლის კალენდარი 55 კაპ., საქართველოს კალენდარი 80 კ. ვინც ორსავე კალენდარს ერთად იყიდის საზოგადოებაში, იმას ორივე კალენდარი დაეთმობა 1 მან. და 25 კაპ. ცალკე საქართველოს კალენდარი მშვენიერის ყდით—1 მან. და 25 კაპ.

ექიმი
ვ. დ. ლამბაშიძე

ორშაბათს, ოთხშაბათს და პარასკევს საღამოს 6—7 საათამდე.

ნიკოლოზის ქუჩა, № 46.

გამოვიდა და იყიდება „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების" წიგნის მაღაზიაში

ჩემი თავგადასავალი.

აკაკისა

ფასი 1 მანათი.

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა-დღეებს გარდა.

დილაობით:

გ. ა. ნავასარდიანი. 11—12 ს. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდე ავადმყოფობანი.

ჟ. მ. ჩიქოვანი. 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა, შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.

მ. გ. აპეტისიანცი. 10—11 საათამდე—კანისა, ვენერიულ და ხირურგიულ ავადმყოფობისა.

ი. ბაბანასოვი. დილის 11—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

ქ. ი. ბძელიშვილი. 12—1 საათ. ყელისა, ყურისა და ცხვირის ავადმყოფობანი.

ზ. ა. თარხანოვი. 1—$1^1/_2$ საათ. შინაგანის და ბავშვებისა ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით.

ა. პ. კარაპეტიანცი. 1—$1^1/_2$ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

საღამოობით:

ნ. ნ. როსტომბეგოვი. 5—6 ს. ხირურგიულის და კანის ავადმყოფობისა (ელექტრო-ტერაპია

გ. ს. ლევი. 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტ-[illegible] ავადმყოფობისა.

ქალი ექიმი **ა. ი. შჩერბინინა.** 7—7 საათ. ქალისა და საბებიო ავადმყოფობისა.

ვ. ა. თარხანოვი. $7^1/_2$—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

გ. ა. ნავასარდიანი. $8^1/_2$—8 ს.

ს. ტ. არვანიტაკი. 11—1 ს. უკეთებს სახლში და მსურველთ მასსაჟსა, აუცრის ყვაილს გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница д-ра *Навасардіана*. Тифлисъ противъ памятн. Воронцова.

წლ.

კერძო სამკურნალო

ექიმის დ. ა. გედევანიშვილისა

კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (**Набережная**) სახლი აბრამოვისა № 9 მიხეილის ქუჩიდგან-კი № 34.

ტელეფონი № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დილით:

ვ. ი. ჟიჟინაძე. კბილის სნეულებანი 8 საათიდგან 10 საათამდე.

ლ. ი. კამოევი. საშარდ., ვენერ. და სიფილ 10—11 ს.

ნ. ტ. მულინი—ყელისა, ყურისა და ცხვირის სნეულობით შეპყრობილთ. 9—10 ს.

ა. გ. მაღალაშვილი. შინაგ. და ბავშ. 10—11 ს.

ვ. დ. ლამბაშიძე. შინაგ. და ბავშვ. ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ. 11—12 საათ.

ლ. მ. მონინი. ქალის., საბებ. და ბავშვ. (შემოწმება ძიძისა) ოთხშ., პარასკ. და კვირა 11—12 ს.

დ. ა. გედევანიშვილი—შინაგან, ნერვებისა და ელექტროტერაპია 12—1 ს.

ექიმი ქალი **მ. ქ. იოსელიანი**—ქალისა და საბებიო 12—1 ს. სამშ. ხუთშ. შაბათ.

ბრ. ვ. სობოლევსკი—დოსტაქრობა და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით პარასკეობით და შაბათობით 1—2 საათ.

ვ. მ. მანსვეტოვი—შინაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა—კვირაობით 10—12 საათ.

საღამოთი:

ა. გ. მაღალაშვილი. შინაგ. ბავშ. ყვავილის აცრა [illegible] მიკროსკოპიური გამოკვლევანი 5—6 [illegible]

რჩევა-დარიგება 50 კ., ოპერაციები მორიგებით. კრაოტები 3 მან. 5 მანეთამდე. სამკურნალო გაფართოვებულია ოცი კრაოტით.

(წ.)

46—8 ტელეფონი № 274

ტფილისი. 5 თებერვალი.

როგორც ვიცით, სოფელი პირმშო შვილია ბუნებისა, ამიტომაც გულ-უხვს მშობელს მდიდრულად მოურთავს სოფელი ზაფხულობით მრავალ გვარ, თვალის წარმტაც და გულის გამახალისებელ მშვენიერებით. ქალაქი, რომლის გამშვენებისა და გაბრწყინებისათვის იხარჯება მილიონობით ოქრო და ვერცხლი, და ელევა ზედ ადამიანთა ტეხნიკური ხელოვნება, როგორ შეედრება ბუნებისაგან მრავალ ფეროვან ყვავილებით მოქარგულ, მანტიით მოსილს სოფელს.

გაზაფხულიდამ დაწყებული შემოდგომის დასასრულამდე სოფელი თვისის მომხიბლველის შვენიერებით სწორედ ედემის მტილს წარმოადგენს. მაგრამ სოფლელთა სავალალოდ, რამდენადაც გარეგანის სურათით სოფელი მხილველთა თვალ-გულის დამატკბობელია, იმდენად შინაგანი ყოფა-მდგომარეობა სოფლელისა დამაღონებელი და შემაძრწუნებელია. რამდენადაც ბუნებისაგან დაჯილდოებულია სოფელი, იმდენად განათლებულ კაცთაგან ხელ-აღებული, მოძულებული და დავიწყებულია. თავის მოვალეობად არავინა სთვლის სოფელს დახმარებისა და შემწეობის ხელი გაუწოდოს. არავინ იჩენს მზრუნველობას, სოფლელი ხალხი გონებრივად გამოაფხიზლოს და დაუბვანოს ცხოვრებაში გამოსაყენებელი სწავლა [illegible]

მიდის თავის გზაზე დრო და ჟამი და ჩვენი სოფლელი ხალხი-კი, მოკლებული ცხოველ-მყოფელ სწავლა-განვითარებას, რჩება ისევ იმ პერიოდში, რომელშიც იყვნენ, თუ მეტი არა, ასი-ორასის წლის წინად მათი წინაპარნი...

უკიდურესად ღარიბია სოფლელი ხალხი ცხოვრების ბრძოლაში გასამარჯვებელ სწავლა-განვითარებით, და რაღა დამტკიცება უნდა იმას, რომ ამის გამო უკიდურესად ღარიბია ნივთიერადაც... უმაღლეს სწავლა-განათლებას, ამ კვარცხლბეკს ადამიანთა კეთილ წარმატებით და ბედნიერად ცხოვრებისას, ვინ გაიმეტებს სოფლელ ხალხისათვის, როდესაც არსებითად საჭირო დედა-ენაზე წერა-კითხვის ცოდნის მინიჭებაც არავის გაუმეტებია. — ისეთ სარგებლობის მომცემ სწავლას, როგორიც არის მრეწველობისა, ტეხნიკისა, კომერციისა, ვინ აღირსებს სოფელსა და მიმკვიდრს, მაშინ, როდესაც მიწად-მოქმედების გამაუმჯობესებელი ცოდნაც არავის მიუკერძებია ჩვენის ნოეს დროის ცოდნით მომქმედ მეურნე ხალხისათვის.

ჩვენის ხალხის ავლა-დიდების ერთად ერთი წყარო, როგორც ვიცით, მიწადმოქმედებაა; ცხოვრების ყოველგვარი მოთხოვნილება ჩვენმა ხალხმა მიწისაგან მოცემულის შემოსავლით უნდა დააკმაყოფილოს. ძველს დროში, როდესაც ცხოვრება სადა და მარტივი იყო და ამდენს ხარჯს არა თხოულობდა, როგორც იყო, ჩვენი ხალხი ამ თანხით იოლად მიდიოდა და უძლვებოდა თავის ცხოვრებას. დღეს-კი ეს თანხა მოთხოვნილების მეათედს ნაწილსაც ველარ ასდის, ველარ აკმაყოფილებს, და ჩვენი ხალხი, წარმატების მაგიერ, ნივთიერად უკან იწევს, ვალში ვარდება, ღარიბდება. ხარჯი, გარდასახადი, დღითი დღე მატულობს, იზრდება; მიწიდამ მოცემული შემოსავალი-კი კლებულობს, მცირდება. მიწის სიცოტავის გამო, მიწადმოქმედი ხალხი ვერ ასვენებს ნიადაგს, ერთსა და იმავე ადგილს ყოველს წელიწადს ამუშავებს და სთესს არა მარტო ერთის ჯიშის მცენარეს, არამედ რამდენისამე სხვა-და-სხვა ჯიშისა და თვისებისას ერთად. ამის გამო ზედაპირი დედამიწისა, საიდამაც ჩვენი მამაპაპანი [illegible]

[illegible] —სამხრეთ.

[illegible] სახნისი, ბარი და თოხი უწევს და [illegible]რუნებს, გამოფიტული, ნოყიერება-გამოცლილია, მაშასადამე ველარ აძლევს საკმაო საზრდოს დათესილ კულტურულ მცენარეთა. ამის გამო ველარ აჯილდოვებს მოგებით მიწად მომქმედს ხალხს. ხშირად არა თუ მოგებით, დათესილ თავნსაც ველარ უბრუნებს მიწა თავის პატრონს.

მაშ, რაღა ღონე დარჩენია ამგვარ შემთხვევაში ან თავის დასარჩენად ან ათას გვარ სავალდებულო გარდასახადის გასასტუმრებლად, მიწის შემყურე ხალხს?—რასაკვირველია, აღარაფერი... როდესაც გასავალი შემოსავალს სჭარბობს, ემატება, ამ შემთხვევაში, რაღა თქმა უნდა, მწარე სენი სიღარიბისა კარზე მომდგარია...

რამდენადაც ღრმად ჩაუკვირდება კაცი ჩვენის სოფლელის ხალხის ყოფა-ცხოვრებას, იმდენად ცხადად დაინახავს, რომ ჩვენი ხალხი მარტო ხვნა-თესვისაგან მოცემულის შემოსავლით ეხლანდელ ცხოვრების ვითარებაში ნივთიერად წინ ვერ წავა და ეკონომიურ კრიზისს თავიდან ვერ აიშორებს.

რა გზით, რა საშუალებით, რა ცოდნის დახმარებით უნდა მოიპოვოს ჩვენმა მხვნელ-მთესველმა ხალხმა ნივთიერი კეთილ-დღეობა და გამოიხსნას თავი დამღუპველ ვალისა და მევახშეების ხელიდამ? მიწა იმდენსაც აღარ აძლევს ჭირნახულს, რომ წლის განმავლობაში ლუკმა-პური უზრუნველი ჰქონდეს და საყიდლად არ ჰქონდეს გამხდარი, და ათას გვარ გარდასახადს რა წყაროდამ შემოსულის თანხით უნდა გაუსწორდეს?!.

ვიალ, ჩვენი მხვნელ-მთესველი ხალხი ნივთიერად მანამ ვერ მოღონიერდება, მანამ სხვა-და-სხვა დარგის მრეწველობასა და ხელობას არ შეისწავლის. სხვათა შორის, საჭიროდ მიგვაჩნია, ჩვენმა ხალხმა შეითვისოს კომერციული სწავლა-განვითარება. ჩვენ ვხედავთ, რომ ვაჭრობის მცოდნე ხალხი დღითი-დღე წინ მიდის, მდიდრდება. ვაჭარი არც ხნავს, არც სთესავს, ვაჭრობა მიწის მოსავლითაც მაძღარია და ჯიბე ხომ ოქროთი აქვს გატენილი. მიწის შემყურე ხალხი-კი უმეტეს შემთხვევაში კუჭ-ცარიელია და ქისა ხომ ყოველთვის ცარიელია და ცარიელი...

[illegible] ზარალს აძლევს ჩვენს მეურნე [illegible] ის გარემოება, რომ ვაჭრობა არ [illegible] არ ესმის; თავის ჭირნახულიდან [illegible] გაიტანს გასაყიდი, არ იცის მისი [illegible] და, ათის მანეთის საღირალს, ხუთ მანეთად აცლის ხელიდამ ვაჭრობაში დაოსტატებული მუშტარი და თვითონ-კი [illegible]ებისაგან ხუთის მანეთის საღირალს [illegible] მანეთად ყიდულობს...

[illegible] გვარი ალებ-მიცემობა, რაღა თქმა უნდა, ხელს უშლის, ძირს უთხრის ქართველ მეურნე ხალხის ნივთიერად მკვიდრად აღდგომას... მაგრამ ვინ არის სოფლის ხალხის მშველელი, გონების თვალ-ამხელი, საჭირო სწავლა-განვითარების მიმნიჭებელი.

მეურნე ხალხის ნივთიერად დაცემა, გაიხება საშიშარი სენია ერის აგებულობისა, ჯანმრთელობისა. ამის გამო დიდად [illegible]რმა, ჩვენმა განათლებულმა მამულის შვილებმა უფრო გულითადი, ენერგიული ყურადღება მიაქციონ ჩვენს სოფლებსა და მკვიდრთა ყოფა-ცხოვრებას, გაიცნონ, შეისწავლონ ჩვენის სოფლელის ხალხის გაჭირვებული მდგომარეობა და აღმოჰფხვრან შეუცდომელად ის ღონისძიებანი, ის საშუალებანი, რომელნიც ეწამლება ჩვენის ხალხის სიღარიბის იარას.

ომის ამბები

დეპეშები და წერილები.

„ენისეის“ დაღუპვა.—ვლადივოსტოკის ესკადრა.—გერმანიის რჩევა.—იაპონიის ჯარი კორეაში.—პორტ-არტურის ციხე-სიმაგრე.—ახალი ცნობები ესკადრების ომისა.—პორტ-არტურში.—ჩინეთის ნეიტრალიტეტი.—გაიძვერა კონსული.—უცნაური ამბავი.—საფრანგეთის ესკადრა.

როგორც ვიცით დეპეშებიდგან, პორტ-არტურთან დაიღუპა ნაღმის მიმცემი გემი „ენისეი“ და მასთან 96 კაცი. ამნაირი გემი მხოლოდ ოთხი ყოფილა რუსეთის ფლოტში: „ამურ“, რომელიც ეხლა პორტ-არტურშია, „ბუგ“ და „დუნაი“. როგორცა სჩანს, „ენისეი“ ნაღმსა სდებდა პორტ-არტურის გარშემო, რომ უცხო გემები არ შეუშვას. ნაღმი თურმე ღუზაზედ არის მიმაგრებული მავთულით და წყალში დატივტივებს იმ სიღრმეზე, რომ არა სჩანს. თუ გემი წააწყდა, ნაღმი იფეთქებს და გემს ბევრად თუ ცოტად დააზიანებს, შეიძლება სრულიადაც დაღუპოს. მოხდება თურმე, რომ ტალღა მავთულს გასწყვეტს და ნაღმს აქეთ-იქით გააქანებს. ამისთანა აწყვეტილი ნაღმი დაუნახავთ „ენისეის“ ჯარის კაცებს; უფროსს უფიქრია, ვაი თუ ჩვენს გემებს დააჯახოსო, და მოუნდომებია მისი აფეთქება შორიდგან. ამისათვის ზარბაზანს ესვრიან და თუ ტყვია მოხვდა, მაშინვე ააფეთქებს. როდესაც „ენისეი“ იმდენად მიუახლოვდა ნაღმს, რომ სროლა უნდა დაეწყო, სხვა ნაღმს წააწყდა თურმე, რომელიც თითონვე ჩაეშვა წინად, და ერთბაშად იგრიალა ჯოჯოხეთურმა მანქანებამ. გემი აყირავდებოდა, წინა ნაწილი წყალში ჩაეშვებოდა და ყველა იქ მდგომს დაჰღუპავდა. გემის ბოლოს მყოფნი თუ მოასწრებდნენ ნავებში ჩასხდომას და გადარჩნენ. როგორც დღევანდელი დეპეშა გვატყობინებს, გემის უფროსს კომანდა გადურჩენია და თვით გემთან დაღუპულა.

—

თითქმის ყოველ დღე დეპეშები მოდის ვლადივოსტოკის ესკადრის შესახებ. იუწყებოდნენ სხვა-და-სხვა წყაროდგან, რომ ესკადრა აპირებს იაპონიის უმთავრეს კუნძულებს გარს შემოუაროს და ისე შეუერთდეს პორტ-არტურის ესკადრას; ვითომც წასულა კიდეც და სცდილობს გაიაროს იაპონიის ორ კუნძულს შუა—იესსოსა და ნიპონს, ვითომც იესსოს სანაპირო ქალაქს ხაკოდატეს ყუმბარები დაუშინა. ეს ცნობები მართალი არა ყოფილა: გაზეთი „რუს. ვედ.“ ამბობს: „სტანდარდ“-ს ატყობინებდნენ ტიან-ძინიდგან, ვითომც ჩვენმა ესკადრამ ხაკოდატეს ყუმბარები დაუშინა 27 იანვარს, ხოლო პორტ-არტურის ამბავი და ომის გამოცხადება ვლადივოსტოკს მიაღწევდა 28 იანვარს. იმავე დღეს რომ ვლადივოსტოკის ესკადრა წასულიყო და სისწრაფით ევლო, მაინც ერთს დღეს ხაკოდატეს ძლივს მიაღწევდა, რადგან 440 მილი უნდა გაევლო. თუ რომ ასე სისწრაფით იარა და 29 იანვარს მართლა ხაკოდატეს გაუსწორდა, მაშინაც-კი ამისი ამბავი ტიან-ძინსა და იქიდგან ევროპას ერთს დღეს არ მიუვიდოდა. მაშასადამე, ეს ამბავი ტყუილი უნდა იყოს.

—

ბერლინიდგან კორესპონდენტი სწერს გაზეთ „რუს. ვედ“-ს, რომ 30 იანვარს გერმანიის იმპერატორის სასახლეში წვეულობა იყო. იმპერატორი დიდხანს ებაასა ჯერ რუსეთის ელჩს და შემდეგ ამერიკისას. ამ ამბავმა ყველას ყურადღება მიიპყრო. სხვა დიპლომატებმა შენიშნეს, რომ ლაპარაკის საგანი კერძო ხასიათისაა და თავაზიანად შორი-ახლო გადგნენ, რომ არა გაეგონათ-რა. გერმანიის მთავრობასთან დაახლოვებული გაზეთები ამბობენ, გერმანიამ უკვე დაუმტკიცა რუსეთს თავისი მშვიდობიანობა და კეთილ-განწყობილება, ასე რომ რუსეთს მშვიდად შეუძლიან გერმანიის საზღვარს მოაკლოს თავისი ჯარი და შორეულ აღმოსავლეთს მიაშველოსო.

ლონდონიდგან „ნოვ. ვრემ.“-სა სწერენ, რომ სიმონოვსკიდგან 60 სატრანსპორტო გემი გასულა ჯარით სავსე. ჩემულპოში გადამსხდარა მხოლოდ 2500 კაცი. მაშასადამე, უმეტესი ნაწილი პორტ-არტურს ახლო უნდა იყოსო. ჰფიქრობენ, ჯარი ელიოტის კუნძულებზე ჩასაფრებულა, სადაც იაპონიის ჯარი 1894 წელსაც იმალებოდაო.

—

პორტ-არტურში ციხე-სიმაგრე ჩინელებს დაუარსებიათ ამ 30 წლის წინად. ჯერ გერმანელი ინჟენრები ჰყოლიათ, შემდეგ-კი ფრანგები მიუწვევიათ. მუშაობა 12 წელს გაგრძელებულა და 80 მილიონი მანეთი დამჯდარა. პორტ-არტური საუკეთესო ციხე-სიმაგრედ ითვლებოდა მთელს ჩინეთში. 1894 წელს, ჩინეთ-იაპონიის ომის დროს, პორტ-არტური იაპონელებს აუღიათ იერიშით და სიმაგრეები სულ დაუნგრევიათ, ზარბაზნები, მანქანები და ქარხნების მოწყობილება-კი სულ გაუზიდნიათ. გადარჩენილა მხოლოდ რამდენიმე ნავთ-სადგური და დოკები, გემების შესასწორებელი ქარხნები. როდესაც პორტ-არტური რუსეთის ხელში გადასულა, ციხე-სიმაგრე ხელ-ახლად აღუდგენიათ და შეუიარაღებიათ, რასაც რამდენიმე მილიონი მანათი დასჭირდა. საუკეთესო ნაწილად ცნობილია აღმოსავლეთის მხარე, საიდაც სულ თლილის ქვის კედლებია. აქ დიდი სამხედრო გემებიც ადვილად უდგება ნაპირს. იქაურ დოკზე შეიძლება ზოგი ჯავშნიანი გემიც შესწორდეს და კრეისერებისთვის ხომ ძალიან კარგია. ამისათვის პორტ-არტურში დიდი ქარხნებია. („რუს. ვედ.“).

— ლონდონში ცნობა მისვლიათ, რომ ჩემულპოში გემებიდგან ხმელეთზე გადასული ჯარი სეულში უკვე მისულაო. („ნოვ.“).

—

1894 წელს, ჩინეთ-იაპონიის ომის დროს, იაპონიის ჯარს სეულიდგან მდინარე იალუმდე ორი თვე და ათი დღე უვლია (იქვე).

—

პორტ-არტურში მომხდარ ომის გამო ახალ ცნობებს ატყობინებენ უცხოეთის გაზეთებს: რუსეთის ორი ჯავშნიანი გემი „რეტვიზანი“ და „ცესარევიჩი“ და კრეისერი „პალლადა“ პორტ-არტურს 15 მილის მანძილზე დაშორებოდნენ სამხრეთისკენ. ამ დროს აწიშნეს თურმე, 14-ი ნაღმიანი გემი მოდისო. იაპონიის ნაღმიანი გემები სამად გაყოფილან და ყოველ ჯგუფს რუსეთის თითო გემი აუღია მიზანში.

რუსის გემებზე დიდი ფაცა ფუცი გაჩნდა, რადგან თავდასხმას სრულიად არ მოელოდნენ. გაიარა რამდენმამე ძვირფასმა წუთმა, ვიდრე ჯავშნიანი გემები სროლას დაიწყებდნენ. ამ დროს ნაღმიანი გემები კიდეც მიუახლოვდნენ იმდენად, რომ ასაფეთქებელ ყუმბარების სროლა შეიძლებოდა. თუმცა ჯავშნიანმა გემებმა ნაღმიანი გემები უკუ აქციეს, მაგრამ თვითონაც დაზიანდნენ. „რეტვიზანი“ და „ცესარევიჩი“ პორტისაკენ წავიდნენ, ხოლო კრეისერი „რეტვიზანს“ მიუბეს და რამდენ სამე ხანს ისე აცურეს, შემდეგ-კი სრულიად მიატოვეს ზღვაში. მხოლოდ მეორე დღეს შეიცურეს „პალლადა“ პორტში. (იგივე).

—

იაპონიის ელჩმა გაიამმა უთხრა მწერლობის წარმომადგენლებს, რომ იაპონიას არც არავისი შველა და არც არავისი დახმარება უნდა და ნურავინ ჩაერევა, ნურავინ იკისრებს შუამავლობასაო. იქნება იაპონიას სხვაზე უფრო მეტად სურდეს, რომ ცეცხლი შორეულ-აღმოსავლეთშივე ჩააქროს და სხვა ქვეყნებს არ მოედოს. იაპონიას პირდაპირ გასწორება სურს რუსეთთან. ეს იმითიცა მტკიცდება, რომ თვით იაპონია ძალ-დატანებით სთხოვდა ჩინეთს ნეიტრალიტეტი დაეცვა, თუმცა ჩინეთის სხვებზე მეტად აწუხებს ეხლანდელი არეულობა. („პეტ. უწ.“).

—

რას ჰფიქრობს და რას აპირებს ჩინეთი? ნუ თუ გარეშე მაყურებლად დარჩება?— აი რა გამოცანა უძევს წინ ევროპის დიპლომატებს. გაზეთ „ვიენერ ტაგებლატ“-ის თანამშრომელს ჰქონია ამაზე ლაპარაკი ერ[თ] ის დიპლომატთან, რომელმაც კარგად იცის შორეულ-აღმოსავლეთის ვითარება, და აი რა პასუხი მიუღია:

ჩინეთს, რასაკვირველია, ნეიტრალიტეტი ურჩევნიან და ასეც იქნება. ხოლო არავისთვის საეჭვო არ არის, რომ რუსეთ-იაპონიის ომი ჩინეთისათვის სასურველი და სასარგებლოაო. ომის დროს ჩვენ უზრუნველ-ყოფილნი ვართ რუსეთისა ანუ იაპონიის თავდასხმისაგან და ვერც ერთი მათგანი ჩვენს მიწა-წყალს ვერ დაეპატრონება. ომი რომ გათავდება, მაშინ ჩვენი მდგომარეობა თუ არ უკეთესი დღევანდელზე, ცუდი ხომ არ იქნება. რომელ მხარემაც უნდა გაიმარჯვოს, თვით გამარჯვებულიც ბევრად შესუსტდება და სხვის სამფლობელოს დაპყრობა ველარ ინდომებს. ომის დროსაც მეომარი არა ერთხელ ისეთი დღე დაადგებათ, რომ ჩვენი ნეიტრალიტეტი მისთვის მეტად გამოსადეგი შეიქნება და ამ წუთით, რასაკვირველია, ჩვენ ვისარგებლეთ.

(„პეტ. ვედ.“)

— იაპონიის კონსულს ლონდონში უთქვამს ამერიკულ გაზეთის კორესპონდენტისათვის, რომ მე ერთი იაპონელი აფიცერი მყავდა მსახურის ტანისამოსში გამოწყობილი. იმან პორტ-არტური კარგა შეისწავლა. გემების მდგომარეობა იცოდა და ყოველივე თავის დროს იაპონიის ადმირალს აცნობა. ეს იყო მიზეზი, რომ იაპონიის ესკადრა ისე გაბედულად და მოულოდნელად თავს დაესხა რუსეთის ესკადრას („ნოვოსტი“).

—

იაპონელები ორს მხარეს ამაგრებენ კორეაში, ერთი იალუს ღელეს სამხრეთით და მეორეც გენსანიდგან კორეა გარდიგარდმო (იქვე).

—

მხოლოდ ეხლა მიაქციეს ყურადღება ერთს საოცარ გარემოებას: სწორედ იმ დროს, როდესაც ომი უნდა ატეხილიყო რუსეთსა და იაპონიას შორის, ინგლისის რომელიღაც კრეისერი სუეცის არხში დაუძირავს და გემების მსვლელობას უშლის (იქვე).

—

გამბურგიდგან ამერიკაზე გაუგზავნიათ იაპონიისათვის 15 ზარბაზანი, რომელიც შეკვეთილი ჰქონდა კრუპის ქარხანას. (იქვე).

—

ტულონში საჩქაროდ ამზადებენ შორეულ აღმოსავლეთისათვის საესკადრო გემებს „ადმირალ შარნე“, „კასანდრ“, ორ[ი] გემების მღუპავს, ერთს წყალ-ქვეშ მცურავ ნავსა, ჯავშნიან გემს „წმ. ლუდოვიკ“ ანუ „ქერე ჰიბერი“. ზღვათა მინისტრი აპირობს ახალი კრედიტი ითხოვოს (რუს. ვედ.)

ტ ფ ი ლ ი ს ი

*** გუშინ, 5 თებერვალს, საგანგებო კრება ჰქონდა ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობას, თავად-აზნაურთა წინამძღოლის თავ. მელიქიშვილის თავმჯდომარეობით. პირველად წაკითხულ იქმნა უმაღლესი მანიფესტი, რომელსაც დამსწრენ „ურა“-ს ძახილით მიეგებნენ. შემდეგ პარაკლისი იქმნა გადახდილი, რათა უფალმან დღეგრძელობა მიანიჭოს ხელმწიფე იმპერატორს და გამარჯვება რუსეთის მხედრობას შორეულ აღმოსავლეთის ომში. პარაკლისის გათავების შემდეგ, საკრებულოს გადაწყვეტილებით, სამჯერ შესრულ[და] სასახლის მგალობელთა გუნდმა სახალხო ჰიმნი, რომელიც ყველამ დიდის ყურადღებით და „ურას“ ძახილით მოისმინა. შემდეგ კრება დაიწყო და ერთხმად გადასწყვიტა: 1, შინაგან საქმეთა მინისტრის შემწეობით დეპეშით ხელმწიფე იმპერატორს გამოეცხადოს უქვეშევრდომილესი გრძნობანი თავად-აზნაურთაგან, 2, 25,500 მ. შესწიროს ომის საქმისათვის, დაჭრილ მეომართათვის შემწეობის აღმოსაჩენად, მათის სახლობისა და ომში მოკლულთა სასარგებლოდ; 3, მთელ გუბერნიაში გაიმართოს ხელის-მოწერა და ამ გზით შეგროვებულ ფულს მიეცეს ისეთივე დანიშნულება, რაც მეორე მუხლშია ჩამოთვლილი, 4, ფულის მოგროვება მიენდოს განსაკუთრებულ კომისიას, რომლის თავმჯდომარედაც არჩეულ იქმნა თავ. ივ. ს. [illegible], წევრებად [illegible] კაცია, სამი თავად-აზნაურთაგან, სამი მოქალაქეთაგან; 5, ეს გადაწყვეტილება ეცნობოს ტფილისის გუბერნატორს და მოხსენდეს კავკასიის მთავარ-მართებელს თავ. გოლიცინს.

*** ნაძალადევში აპირებენ პირველდაწყებითი რკინის გზის სასწავლებლის დაარსებას. ამ სასწავლებელში მიიღებენ მხოლოდ ხელოსანთა და მომუშავეთა შვილებს. [illegible]რაუდით, ამ სასწავლებელზე წლიურად 3370 მანეთი დაიხარჯება.

*** ნაძალადევის დედათა საკვირაო სკოლაში ამ ჟამად 72 მოსწავლეა, მეტი წილი ქართველები არიან.

*** გუშინ, 5 თებერვალს, ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში გადახდილ იქმნა შვიდი ახლად განსვენებულ რუს მწერლის ნ. კ. მიხაილოვსკის სულის მოსახსენებლად.

*** გაზეთი „კავკაზი“ დამატებით ცნობებს იუწყება პარაკლისის დროს ბაქოში მომხდარ ამბის შესახებ: ყუმბარას სულ [illegible] კაცი დაუშავებია, ამათგან ორი მაშინვე მომკვდარა, ორი მძიმედ ყოფილა და[illegible]

ფ ე ლ ე ტ ო ნ ი

აბი და კარბი

გასესხებელ-შემნახველ ამხანაგობის ახალი წესდებისა.

[illegible]ელი, სრულიად, თუა შეუძლებელიც არის შედგენა ისეთის წესდებისა, რომელიც ერთნაირად მოუხდეს და გამოადგეს სოფლის მცხოვრებს პეტერბურგიდან [დაწ]ყებული ჩვენამდის. დედა-აზრი გამოადგეს რომ იყოს, წვრილმანები მაინც ხელს შეუშლიან და ზოგჯერ ძირითადაც შეარყევენ, შესცვლიან წესდების შემდგენელის კეთილს განზრახვას. ამიტომ რაც უნდა მტკიცედ ვადგეთ წესდების ასრულებას, ადგილობრივი ვითარება ძალას დაგვატანს ზოგიერთი წვრილმანი მაინც მათ შევუთანხმოთ, თუ არ გვინდა, რომ წესდებულების დედა-აზრს ვუღალატოთ.

ავიღოთ, მაგალითად ფულის გასესხების საქმე და შევადაროთ ამ მხრივ ძველ და ახალ წესდების მოთხოვნილებანი. როგორც ძველი, ისე ახალი წესდებათა ნორმით [illegible] თუმანი. ორივე წესდებით წევრს შეუძლია ამ წილის შედგენა ნაწილ-ნაწილადაც და ერთჟამიერად შეტანითაც. მხოლოდ ძველი წესდებით წელიწადში სამი მანეთის შეტანით შეეძლო წევრს შესრულებაა წილისა, ახალი წესდებით-კი წლიური შესატანი არის ხუთი მანეთი; ორივე წესდებით წლიური მოგება (დივიდენდი) ასეთი წევრებისა წილის ფულს ემატება, სანამ წილი ხუთ თუმნად არ შესრულდება. ამნაირად ღარიბ ამხანაგს საშვალება ეძლევა წლითი წლობით, თანდათან შეადგინოს საწევრო პაი. ძველ წესდებაში ეს აზრი ბოლომდე-ს დაცული და გატარებულია, რადგან მდიდარს წევრს, ხუთი თუმნის პატრონს, ფულის სესხებაში უპირატესობა არა ეძლევა რა სამი მანეთის წილის ფულის პატრონის წინაშე. ერთსაც და მეორესაც შეუძლია ისესხოს ამხანაგობისაგან თუთხმეტი თუმანი, უკეთუ საჭირო თავდებებს წარმოადგენენ. ახალი წესდებით სამი მანეთის წილის პატრონი, ვინც უნდა წარმოადგინოს თავდებებად, გინდ გირაო მოიტანოს, ხუთ[illegible] [illegible] მეტს შინ როდესაც ხუთი თუმნის პატრონს შეუძლია ოც-და-ხუთი თუმანი ისესხოს!.. ამ გვარად, ახალი წესდებით წვრილ-წვრილად წილის შედგენას ძალა ეკარგება და წევრი, მდიდარია თუ ღარიბი, იძულებულია წილის ფული გაასხვილოს, თუ უნდა რომ სესხით ისარგებლოს. თუ წესდება ამ შემთხვევაში სიტყვა-სიტყვით ასრულდა და ცხოვრების მოთხოვნილებას არა დაეთმო-რა, ამხანაგობას წილის ფული გაუსხვილდება არა ნამდვილად წილის ფულის შემოტანით, არამედ ფიქტიურად ანუ ცრუ-შემოტანით. ეს ფიქტიურად ფულის შემოტანა იმაში მდგომარეობს, რომ წევრი ან თვითონ ამხანაგობიდან ისესხებს ან კერძო კაცისაგან ხელ-მოსანაცვლებლად იშოვის ფულს, რომ ამხანაგობაში შეიტანოს, და მერმე იქიდგან გამოტანილი ფულით გაისტუმროს. ორსავე შემთხვევაში წევრს ემართება ამხანაგობის ვექსილით ის ფული, რომელიც მან იქვე წილად შეიტანა, რომ რაიმეში მოეხმარა და ამხანაგობის საშვალებით გაღონიერებულიყო. ამ ნაირად, ამხანაგი, რომელსაც სრული[illegible]ლობს ამხანაგობიდან 250 მანეთი, აქედან ხუთ თუმანს ამხანაგობაშივე სტოვებს წილის ფულად, დანარჩენს ოც თუმანს თავის საჭიროებისთვის ხმარობს. ვადაზე ოც თუმანთან ხუთიც შესატანი აქვს, რომელიც ხელში არ მიუღია და რომლითაც არ უსარგებლებია.

კიდევ კარგი, თუ ის ოცი თუმანი მაინც „საქმეში“ მოიხმარა, ისეთ საქმეში, რომელიც ერთის წლის განმავლობაში, რომელი ვადითაც ეძლევა სესხი, თავნს მაინც უბრუნებს. და თუ, პირიქით, სესხი დაიხარჯა „ტაშზე“, „ფეხზე“, დღეობებზე და ნათლობებზე.—წლის ბოლოს სესხის გადახდა გაძნელდება. ამხანაგი იძულებული ხდება ან სხვაგან ისესხოს და ისე გაასწოროს ვალი, ან და ამხანაგობის გამგეობა დაიყოლიოს, რომ მან სესხი განუახლოს სარგებლის შემოტანით. ეს „განახლება“ არის, რომ ღუპავს, აქცევს, ერთის მხრით ამხანაგობას და მეორეთი მსესხებელს ამხანაგს. ამ დამღუპველ გარემოების ასაცდენად ახალი წესდება სოფლის გამსესხებელ-შემნახველ და საწესებულებათა გამგეობებს, რომ მათ სესხი არ გასცენ „ძველებურად“, გამოუკითხავად და დაუნიშნავად, თუ თითოეული ამხანაგი რისთვის ივალიანებს თავს. ამ ნაირად, თუ ძველი წესდებით მოვალეობა გამგეობისა მარტივი იყო: ის გაასესხებდა ფულს, თუ მსესხებელი ამხანაგობის წევრი იყო და წესდებით ნაჩვენებ თავდებებს, ისევ წევრებს, მოიყვანდა,—ახალი წესდებით ამავე გამგეობის მოვალეობა რთულდება: სესხის გასაცემად არა კმარა, რომ მსესხებელი წევრი იყოს და თავდებები მოიყვანოს; საჭიროა, რომ მსესხებელი ვალს«სასარგებლო» საქმისთვის იღებდეს, რომ საქმე, რისთვისაც ამხანაგი ფულს სესხულობს, მისთვის შემძენი იყოს, რომ მისგან გაწეული ფულის ხარჯი თავნიან-სარგებლიანად მასვე უბრუნდებოდეს, თუ ერთის წლის განმავლობაში არა, ხუთი წლის ვადაზე მაინც (სესხი უძრავის შესაძენად) ყოველ შემთხვევაში ახალი წესდებით გამგეობა მოვალეა გამოიკითხოს და დანიშნოს, თუ მსესხებელმა ვალი რისთვის აიღო, მართლა დანიშნულებისამებრ მო[illegible]

ვებული, 15 კაცი-კი მსუბუქად. ორი კაცი შეუპყრიათ.

10 თებერვალს რუსეთის მეხილეობის საზოგადოების კავკასიის განყოფილების კრებაა დანიშნული.

სახელმწიფო და საერობო გადასახადის განმანაწილებელ კომისიის წევრად არჩეულ იქმნა ხმოსანი ა. ბ. ევანგულოვი.

კავკასიის საბრეშუმო სადგურმა სამიკროსკოპო გამოსაკვლევად მიიღო 26,000 კოლოფი აბრეშუმის თესლი. ეს თესლი სამ რუს ვაჭარს შეუძენია ოსმალეთში და სპარსეთში მიაქვთ გასასყიდად.

3 თებერვალს ტფილისის სამკურნალო საზოგადოებას კრება ჰქონდა, ბ-ნ ანანოვის თავმჯდომარეობით. კრებამ, სხვათა შორის, მსჯელობა იქონია საზოგადოების საკუთარ შენობის აგების შესახებ. კრების გამოანგარიშებით, ეს შენობა 5000 მანეთის მეტი არ დაჯდება. თავმჯდომარემ აცნობა კრებას, გუბერნატორმა ნება დაგვრთო რუსულსა და ადგილობრივ ენებზე საზოგადო ლექციები გავმართოთო.

[illegible]რას, 8 თებერვალს, დურგალთა ამხანაგობის „შრომის" კრებაა დანიშნული.

გორის ქალაქის რწმუნებულთ ერთ თავისს უკანასკნელ კრებაზედ შეუდგენიათ ქალაქის შემოსავალ-გასავლის ხარჯთ-აღრიცხვა 1904 წ. ვარაუდით, შემოსავალი იქმნება 20,960 მანეთი და ამდენივე ხარჯი.

ტფილისის გუბერნატორს წარუდგინა დასამტკიცებლად ქალაქის საბჭოს დადგენილება რუსეთის სამხედრო საჭიროებისათვის ფულის გადადების შესახებ.

ჩუღურეთის ვაჟთა მეორე საკვირაო სკოლის ანგარიშიდან სჩანს, რომ სკოლას ყოველ წლივ ქალაქი აძლევს 300 მანეთს. სკოლაში სწავლობს 147 კაცი. აქედგან ქართველია 76. მოსწავლენი არიან 13-დან 40 წლამდე. ამ სასწავლებელში ისინი შედიან, ვინც წერა-კითხვა სრულიად არ იციან.

რაც ხანია ქალაქის საბჭომ 2,000 მანეთი გადასდო ტფილისის ღარიბ მცხოვრებთათვის შეშწეობის აღმოსაჩენად, მაგრამ ეს ფული ყველასთვის არ დაურიგებიათ. მაგალითად, მესამე საპოლიციო უბნის მცხოვრებთ ახლა დაურიგდებათ. ფულის დარიგება გამგეობამ ა. ბაბოვს მიანდო.

ოთხშაბათს, 4 თებერვალს, ქართულ თეატრში დამსახურებულის მსახიობის კ. ყიფიანის საბენეფისო წარმოდგენა იყო; ამ წარმოდგენის დაწვრილებით ანგარიშს ხვალ დავბეჭდავთ.

—

შეცდომის გასწორება.

გუშინდელს მეთაურში შეცდომით დაბეჭდილია თავშივე: და თუ ორის კვირის შემდეგ აქამომდე და სხვ. უნდა იყოს: და თუ ორის კვირის წინად და სხვ.

რეცენზენტის ხვანცარიკი.

(წერილი რედაქციის მიმართ).

„ცნობის ფურცლის" რეცენზენტი ბ-ნი ვ. ს—ი სცდილობს სიტყვა ბანზედ ააგდოს და თავისი გაბედული ცილის წამება როგორმე ჩააფუჩჩოს და, ვითომ ვერ გაუგია ჩვენი პასუხი, მკითხველებს ეუბნება; „აკაკის დავიწყებია თავისი სიტყვები „ჩემს პიესას არ თამაშობენო" და უარს კადრულობს. მე ვიმეორებ ჩემს ნათქვამს: თავ. აკაკიმ ფოიეში სწორედ ჩემ წინ სთქვა ზემომოყვანილი სიტყვები და ამას მიმოწმებენ ბ-ნი ლევ. ყიფიანი, „ნოვოე ობოზრ."-ს თანამშრომელი, ბ-ნი ადამაშვილი და ბევრი სხვანიო". ვიშ! უთქვამს და გაუთავებია!.. მერე რა, რომ ვსთქვი?

მე ვის, როდის, მოვახსენე, რომ არ მითქვამსო? დიახაც ვსთქვი და ვამბობ, ვამბობ და საფუძველიც მაქვს: პიესიდან რომ უმთავრესი მომქმედი პირები გამოირიცხებიან და რაც დიწერილა, მისი სავსებით აღარა ითქმის-რა, ზოგი ფრაზები და დიალოგები აქ ამოიგლიჯება, ზოგი იქ, როგორც იმ ღამეს მოუვიდა, ის პიესა განა იცნობა? ჩვენ იმიტომ-კი არ მოვახსენეთ ბ-ნ რეცენზენტს „ვაშა", რომ ჩემი ნათქვამი გაიმეორა. არა, მხოლოდ მიტომ და საკუთრად მიტომ, რომ გაკადნიერდა და სთქვა: ეს მართალი არ არისო, რომ ვითომცა აკაკის პიესა დამახინჯებულად წარმოდგენილიყოსო. ეს ავტორების ხრიკებიაო და სხვანი... ესე იგი ამტკიცებდა, რომ აკაკი წერეთელი ცილსა სწამებს სხვებსო. და მეც ამაზე ვუპასუხე, რომ ჯერ შეიტყვეთ: მართალია თუ არა, რომ ერთმა აქტრისამ არ ითამაშა, მეორე ავად გახდა და მესამე მოუმზადებლად გამოვიყვანეთ, მხოლოდ სხვებისადმი რეპლიკების მისაწოდებლად, რომ წარმოდგენა არ გადადებულიყო მეთქი? და მერე მიბძანეთ და მიკიჟინეთ ხრიკები და ტყუილები მეთქი. ეს ცხადი იყო და ნათლად გამოითქვა. და ვ. ს-ი-კი ახლა სულ სხვას გაიძახის. ვითომ და ვერ გაიგო ჩვენი აზრი და ბანზე სიტყვებს აგდებს... მოწმებიც წამოუყენებია.. რათ აწუხებს? მე თვითონ ვაღვიარებ, რაცა ვსთქვი. საქმე ეს-კი არ არის: აბა, საქმე ის არის, რომ რეცენზენტს, ვითომ და, არა სჯერა ჩვენი ნათქვამი და სახალხოდ ამბობს: ტყუილიაო, ავტორების ხრიკიაო და სხვანი! და მეც მიტომ მიუძღვენი, ვაშა და არა „ფუი", მაგრამ ეტყობა, რომ ვინც გულში გრძნობს თავის სიმტყუვნეს, იმას „ვაშაც"—ფუი ჰგონია და ჩემი რა ბრალია?.. დიაღ, ტყუილა სცდილობს ბ-ნი ვ. ს—ი თავი გაიმართლოს... იქ,სადაც ფაქტები თავის თავად მოწმობენ, სიტყვების რახა-რუხი რაღა საჭიროა? ლოღიკურის ხვანცარიკებით ფონს ვინ გასულა?

აკაკი.

ჩვენებური ამბავი

გორი. გორსა სძინავს და ყველაფერში მეტად ჩამორჩენილია. არც ცნობის მოყვარეობაა ამისთვის, არც წიგნები და არც გაზეთები, არც სწავლა-განათლების ხალისი. ინტელიგენცია ცალკე და ხალხი, ხელოსანი ხალხი, ცალკე. თითქო არაფერია მათ შორის საერთო. ყველას კდირსა რამე და გორსკი ჯერ არაფერი. ერთხელ არ გამართება ხელოსნისათვის რაიმე საინტერესო წიგნის კითხვა. ერთხელ არ მოუვრიან თავს ხელოსნით და არ უამბობენ, რა ამბავია ქვეყანაზედ. საკვირაო სკოლა არ გვაბადია, ერთი და მეორე. გვაქვს სამკითხველო, მაგრამ მკითხველი-კი არა გვყავს. არა გვყავს იმიტომ, რომ წიგნის კითხვის ხალისს არავინ ნერგავს მდაბიოთა და ხელოსანთა შორის. გვძინავს, გვძინავს და, როგორც ეტყობა, ვერც მალე გავიღვიძებთ.

ნალველი

—

ს. სვირი. 1903 წლის შემოდგომა დვინის მოსავლის მხრივ რომ ძლიერ ნაყოფიერი იყო, ეს, სხვათა შორის, სჩანს ამით:

1) წელს ღვინოები ბევრია და იაფად იყიდება, საპალნეს (12 ფუთი) საუკეთესო სვირულ ღვინოსას იყიდით 25 მანეთად ეს ფასი ძლიერ მცირეა შედარებით წინანდელ წლების ფასებთან, როდესაც საპანლე ამისთანავე ღვინისა იყიდებოდა 50—60 მ-ნ., მაგრამ ეს აქაურებს ვერ აწერებს, რადგანაც დამინებულნი არიან წარსულ წლით; შარშან ოინსარში რომ 40 მან. აძლიეს ღვინოში, ზაფხულში ეს ღვინო ძლივს ძლივს გაიდგა 20—25 მანეთად.

2) ქორწილები ჯერ შემოდგომაზედ და ეხლა ხამეტურ ძლიერ გახშირდა: მარტო სვირში იანვრის განმავლობაში იყო 30 ქორწინება; ქორწინებას ღვინის გარდა კარგმა ამინდებმაც შეუწყო ხელი: 22 იანვრიდან აქეთ მშვენიერი ამინდებია, გაზაფხულს მოგაგონებთ, თოვლი გადნა და გზებიც სიმშრალით შრება, რასაც ხელს უწყობს დრო გამოშვებით ქარი და დამის სითბოები. ამ ზამთარში ჯერ მაინცა და მაინც სვირულ ტალახს არ შეუწუხებივართ.

დეკემბრის 20-მდის მშრალი ამინდი იყო, მერე უწვიმრად თოვლი დასდვა, რომელსაც თან მოჰყვა ყინვები, მერე-კი ჩქარა აიღო თოვლი; ვაი თუ ამან გზები გაუკეთებელი დასტოვოს, თუმცა ჩვენი მამასახლისი ძალიან გვპირდება ყველა გზების თუ არა,—უმთავრესის გაკეთებას მაინც. ჯანხთი, მომავალი რას გვპირჩენს.

ჩვენში კაი ხანია არსდება შემნახველ-გამსესხებელი ამხანაგობა და ჯერ კიდევ ვერ დაარსებულა ამ საქმის მოთავე წესდების წარდგენამდის უჭრის თავს წევრებს და სასწევრო ფულს აგროვებს, აღბად მისთვის, რომ დამტკიცებულ წესდებას მზად დახვდეს და საქმის წარმოებას მაშინვე შეუდგეს. ბევრნი უნდობლობის [illegible]გვალით უყურებენ ამ საქმისთვის ჯერ ფულის შეგროვებას, ეჭვობენ—ვაი თუ ფულმა უზინ-მაინის ქვეყანა დასხუროს წესდების დამტკიცების დროსა და წევრად არ ეწერებიან.

თორნიკე.

—

დ. ხონი. დაქანის ხონ[illegible] სადათის ძალით ამის გამოსაფხიზლებელი [illegible]ღიც გვქონდა, მაგრამ... მაგარიც ის არის, [illegible]მ დღეს აღარა გვაქვს, დაგვეკარგა ის გა[illegible]საღვიძებელი და გამოსაფხიზლებელი წამალი, რომელიც დიდ წარმატებას და გონებ-ივ გ[illegible]ითარებას აძლევდა ხალხს,—ჩვენი თეატრი, რომლის დაარსებისათვის დიდი შრომა და ჯაფა გასწია სტუდენტმა ვარლამ [illegible] დაგვინგრიეს თეატრის შენობა, [illegible] მის ფიქრით, დიდად სამწუხარო უნდა იყოს [illegible]ლებისათვის. ხონელებს სასწავლებლებს გარდა ეს თეატრი გვქონდა და დღეს ისიც გაგვიქრა ხელიდამ. ის იყო ჩვენი ამატერებელი და გამაძხინებელი. ყოველ წარმოდგენას სიხარულით ესწრებოდა დიდი და პატარა, მაგრამ დღეს სადღაა ან თეატრი და ან წარმოდგენა?

ამ ერთის თვის წინად, როგორც იყო, ძლივს ძლივობით გვედირსა ერთი წარმოდგენა კერძო დარბაზში. წარმოდგენას ხალხი ბლომად დაესწრო და მათს სიცილ-ხარხარს საზღვარი არ ჰქონდა, მაგრამ, სამწუხაროდ, გათავდა თუ არა ორი მოქმედება, ვიღამაც უებად კარებში დაიყვირა: „სახლი ინგრევაო". ამის დაძახება და ხალხის გარედ გავარდნა ერთი იყო, შემდეგ ბევრი ეხვეწნენ ხალხს სცენის მოყვარულები, დაბრუნებულიყვნენ, მაგრამ ამაოდ. ქუდი რომ შეგეგდოთ შიგ, გამოსატანად არვინ შედიოდა.

ალ. მებუკე.

თეატრი და ხელოვნება

ქ. ოზურგეთი. ოთხშაბათს, 2 თებერვალს, სცენის მოყვარულთა მიერ აქაურ კერძო დედათა [illegible] ღარიბ მოსწავლეთა სასარგებლოდ გაიმართა წარმოდგენა ქართულ-რუსული. ითამაშეს „გატეხებული იმედები" აზიანისა და რუსულად [illegible]ენჩიკომ, მონატეშა, ვოდ. 1 მოქ. ტუ[illegible]სა. სასიამოვნო იყო რომ ყველა აქაურ საუკეთესო სცენის მოყვარულთ ერთად მოეყარა თავი და მონაწილეობას იღებდნენ ამ წარმოდგენაში. ამიტომაც იყო, რომ წარმოდგენამ სწორედ და დამაზად ჩაიარა.

ბ. თაყაიშვილმა (ბიჭი) კარგათ «წაიკათხა მისი როლი! ბ-ნი ბებურიშვილი (გაბო) და ალ. წუწუნავა (სტეფანე) კარგები იყვნენ.

რუსულმა ვოდევილმა მხიარულად ჩაიარა, ბ-ნი ალ. წუწუნავა შეუდარებელი იყო «დედ შჩიკის» როლში და ბევრიც აცინა საზოგადოება. კარგები იყვნენ სხვებიც.

დასასრულ გაიმართა დივერტისმენტი. თ. დიმ. ერისთავმა წაიკითხა ის ვაჟასის «ტუშ მიც.» ლექსი პროზად, ბ-ნმა რომანოვმა წაიკითხა რუსულად ჩეხოვის «О вредѣ табака», ან. წულაძემ წაიკითხა ორი გურული, სცენა, სიდ. თავართქილაძემ «ნადირობა», და ქსი გრ. აბაშიძისა.

ამ წარმოდგენის გამგენი იყვნენ კნ. ეკ. და იულ. ნაკაშიძისანი, რეჟისორობდა ალ. წუწუნავა.

წარმოდგენას დიდძალი საზოგადოება დაესწრო, მაგრამ რომ ვსთქვა «ნასიამოვნები დაბრუნდნენ»-მეთქი, შეცდომა იქნება, თუმცა წარმოდგენაც კარგი იყო და დივერტისმენტიც!....

მხიარულიძე

წ ე რ ი ლ ი
რედაქციის მიმართ

Лавры Мильтіада не даютъ ему покоя.

მილტიადისა-კი რა მოგახსენოთ და, აშორდის «დაფნის გვირგვინი» რომ ბევრს მასწავლებელს ჰხიბლავს ჩვენს კურთხეულ ქვეყანაში საზოგადოდ, და განსაკუთრებით სამეგრელოში, ეს-კი აშკარაა; საუბედუროდ ჩვენი ცხოვრება ისეთს უკუღმართ ვითარებაშია მოთავსებული, რომ კერძო ცხოვრებაში გამარჯვებული და სამსახურის ასპარეზზე დაწინაურებული ის კაცი გამოდის, რომელიც უფრო უტიფრად შეაფურთხებს ქვეყნის წმიდათა წმიდას და მლიქვნელობითა და გაიძვერობით თავს ისე იგატუნებს ამ ქვეყნის ძლიერთა წინაშე, თითქოს «მაღალის დედააზრის შეგნებით ჰმოქმედებდეს».

ხშავი, თქვენის კარგად ყოფნით, აშორდიაზე უფრო შეგნებულები არ სახავდნენ მას ცხოვრების ჯვაღად, თორემ ბესარიონ დემურიასაგან რა გაგიკვირდება!

მე უფრო იმან გამაკვირვა, რომ «ივერიას» ყურადღება მიუქცევია ბათუმის ჯამბაზის გაზეთში მოთავსებულ დემურიას წერილისათვის, გამოუხმაურებია ის თავის ფურცლებზედ 24 იანვარს და გულის წყრომით გვეკითხება: «რა ვუწოდოთ ისეთს მწერალს (sic!) და სხ...

აფსუს, ტერმინო! ალბად, პატივცემულმა «ივერიის» რედაქციამ არ იცოდა, ვისთან ჰქონდა საქმე, როდესაც ბათუმის გაზეთის კორესპონდენტს «მწერალი» დაუძახა. ღმერთმა ნუ მოაკლოს «ჩერნ. ვესტ.»-ს დემურიასთანა ყოველის მხრივ განვითარებული მწერლები! ხოლო ჩვენ ღმერთსა დაგვიფარავს, რომ მისთანა მჯდაბნელებს «მწერლის» სახელი ვაკუთვნოთ.

მწერლობა-კი არა, წერა-კითხვის სწავლება შესძლო მან ნოქალაქევში [illegible] ქრისტიანულად და მეტს [illegible] ჩვენ არას მოვითხოვთ, მაგრამ ვაი თუ ისიც გაუწყრეს, რადგან ნათქვამია,—ცეცხლს შინ რაც სდევს, ისიც წარმოიდინებისო.

ბ-ნ. დემურიას არა ერთი და ორი ლექცია მოუსმენია ზუგდიდის საქალაქო სასწავლებელში, სადაც მან მაიდო უმაღლესი სწავლა განათლება დიდებული ლინგვისტ-ფილოლოგ-[illegible] ამირდის საკუთარ [illegible], მაგრამ ვეჭვობთ, რომ იმ სასწავლებლიდან გამოტანილი ცოდნას [illegible] იყოს კმაყოფილი, რომელიც [illegible] შეგნებული კაცი [illegible] მასწავლებლობის დროს, [illegible] «ჩერნ. ვესტ.»-სთვის [illegible] რომელსაც [illegible] წაუკითხავს [illegible] სჭირდება, მხოლოდ იმ მიზეზის გამო, რომ ის ურჩევდა მდედელს გულეკრში წერა-კითხვა რუსულ ენაზე შეესწავლებინა. ამიტომ „სცემ პატივი ხალხმა მასის ურიგო ქცევით ხალხის ზნე-ჩვეულება [illegible] ქორწინების სადღეობას მესრულების დროს [illegible] და მას-კი სამართლიანად [illegible] «ჩერნ. ვესტ.»-ს მოტრფიალეთა წინაშე.

პოლ. ლ—ძე.

„ივერიის" ფოსტა

ხ—ს. მ. მ. დ—ძეს. სოფლის მასწავლებელთა გაზეთი ეთმობათ 7 მანეთად. პრემიები ცალკე ფასის გადახდით უნდა შეიძინონ.

განკიცხულს. ახლა გვიან-ღაა თქვენის პასუხის დაბეჭდვა. მიზეზს ადვილად მიხვდებით, რასაკვირველია.

დეპეშა
(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

4 თებერვალი

პეტერბურგი. ებოძა გენერალ-მაიორს სმირნოვს გენერალ-ლეიტენანტობა და დაინიშნა პორტ-არტურის ციხის უფროსად.—დაინიშნენ: გენერალ-მაიორი რომბენტალვსკი ციმბირის მესამე კორპუსის შტაბის უფროსად და გენერალ-მაიორი ფლუგი [illegible] ხაბაროვსკის ჯაჭუთა მე-6 დივიზიის უფროსად.—სამარიდან, მოგილევიდან, ორენბურგიდან, სარატოვიდან, მორგანსკიდან, მოგილევიდან, სუვალკიდან, აკერმანიდან, ალექსანდრიიდან, ვლადიმირსკიდან და მოზირიდან იუწყებიან, რომ პატრიოტული მანიფესტაციები იმართებაო.— იუწყებიან პატრიოტულ შემოწირულებანი გაიღესო: ნიჟნეგიგრადის ქარხნის მოხელეებმა 2%-ი თვიური ჯამაგირისა, ვიტებსკში—ვიტებსკის სავაჭრო-სამრეწველო საზოგადოებამ ხელის-მოწერით 500 მან., პლოცკში—მოავრობის [illegible] მოხელეებმა 3 პროცენტი თავისის ჯამაგირისა ომიანობის განმავლობაში, ტფილისში მეორე დედათა გიმნაზიის მე-8 და მე-9 კლასის მოწაფეებმა [illegible] შეგროვილი ფული, ეისკში—საბ[illegible] ხელის-მოწერით 10[illegible] მოხელეთ 2%-ი [illegible] 500 მან., ცარიცინში—საბჭომ 25[illegible] და კარგოპოლში ხელის-მოწერით 500.

ბერლინი. გუშინდელს ბალზედ [illegible] ლეში გერმანიის იმპერატორი [illegible] ებაა დიდის ხალისიანობით [illegible] ელხ.

გადიხადოს. წესდებაში მოხსენებულია, რომ თავის წილსა და იმის ნახევარს (ამ რაოდენობას წევრი უთავდებოდაც სესხულობს) წევრი საგნის დაუსახელებლადაც ისესხებსო.

თქმა არ უნდა, რომ დღეს, როცა ფულის ხარჯვის მადა ყველას ერთობ გახსნილი აქვს, გაადვილება ვალის აღებისა შეიძლებს ორლესულ იარაღად გადიქცეს და, სარგებლობის ნაცვლად, ვნებაც მოუტანოს ისეთს მსესხებელს, რომელიც თავიდანვე ვერ გაითვალისწინებს უსარგებლო დავალიანების ყველა შედეგებსო. ამიტომ სასურველია, რომ გამგეობანი გამსესხებელ-შემნახველ ამხანაგობათა ეცდებოდნენ აასრულონ ახალ წესდების მოთხოვნილება ფულის გასესხების საქმეში. ამისთვის საჭიროა, რომ გამგეობა ამხანაგობის ყველა წევრს იცნობდეს დაახლოვებით, ეს უკანასკნელი გარემოება-კი მოითხოვს, რომ ამხანაგობის სამოქმედო ასპარეზი, რაიონი არ იყოს ფართო, ისაზღვრებოდეს ერთი პატარა სოფლით (300—500 მოსახლემდის) ან დიდი სოფლის ნახევრით, ზოგჯერ მესამედით. საჭირო არ არის და არც სასარგებლო საქმისათვის, რომ ამხანაგობამ 400—500 და მეტ წევრს მოუყაროს თავი სხვა და-სხვა გარეშე კუთხეებიდან, გაასხვილოს მათი გამრავლებით ამხანაგობის წილის ფული (ზევით ვნახეთ, თუ რას ჰქვიან „ცრუ" წილის ფული, წილის ფული—ფიქცია) და ამხანაგობის გამგეობა ყოყოჩობდეს ამხანაგობის წლიური „სხვილი" ოპერაციებით და მით ზოგჯერ თავის გასამრჯელოს გასხვილებასაც ცდილობდეს. ვინ არ იცის, რომ ხშირად ამგვარი ოპერაციები ფუჭია, უშინაარსოა: სწერია, დაბრუნდა 120,000 მანეთი სესხი და გასესხდა 150,000 მანეთიო. ნამდვილად-კი არავის სესხში ერთი კაპეიკიც არ დაბრუნებია, მხოლოდ ძველი სესხი „განუახლებია" სარგებლის შემოტანით.

ვიმეორებთ: საჭიროა, რომ ამხანაგობას მცირე ასპარეზი ეპყრას, წევრთა რიცხვი 100—200 ჰყავდეს, რომ გამგეობამ ამხანაგებს—წევრებს ნამდვილი დახმარება გაუწიოს, მათი ავი და კარგი, ჭირი და ლხინი შეიგნოს და სატკივარს ნამდვილი წამალი დასდოს. ეს-კი შეუძლებელია, უკეთუ გამგეობა არ დაუახლოვდა მსესხებელს და თანაგრძნობით არ მოეპყრა მისს ხელმოკლეობას, გაჭირვებას. ამას ცხადად დაგვანახვებს დაწვრილებითი განხილვა ახალი წესდების ზემოთ დასახელებულ მოთხოვნილებისა: წევრს „უსაგნოდ", თუ არ (ასე ვთქვათ) „საალებ-მიცემოდ", ფულს ნუ ასესხებთო. აქ ჩვენ სიტყვას „აღებ-მიცემობას", ვხმარობთ არა ვაჭრობის მნიშვნელობით, როგორც თითონ წესდება არ უთითებს ვაჭრობაზე სესხის გაცემის საქმეში.

ერთს წევრს ამხანაგობისას, სიმონას, რომელსაც გამგეობა ამხანაგობისა შორიდან იცნობს მარტო, როგორც ამხანაგობის წევრს, რომლის შინაურული მდგომარეობა, ჭირი და ლხინი გამგეობამ არ იცის, დავარქვათ „უცნობი სიმონა". ხოლო მასვე, შინაურულად გაცნობილს ვუწოდოთ „ნაცნობი სიმონა". მოდის ამხანაგობის გამგეობასთან უცნობი სიმონა, რომელსაც სრული წილის ფული აქვს (50 მან.) ამხანაგობაში და მართებს მისი ასი მანეთი და ახალს სესხს კიდევ ას მანეთს (ახალწესდებით) თხოულობს. გამგეობა ეკითხება, თუ რისთვის, რა საქმისთვის მიაქვს ეს ფულიო. სიმონამ, არც „უცნობმა" და „არც „ნაცნობმა", ტყუილი არ იცის. ვერ მოახერხა უცნობმა სიმონამ გამგეობის მოტყუილება, რომ ეთქვა, ვითომ ხარებს ყიდულობდეს სამუშაოდ, ან რამდენისამე ძროხა ადგილს ქირაობდეს ნესვისა და საზამთროს დასათესად და ამ ბაღეულობის გასასაღებლად საკურტნე ცხენი უნდოდეს და სხვა.

ესენი არც ერთი სიმონას არ უნდა. იმას მევახშის ფული მართებს და ამ მოვალის გასტუმრება უნდა. ორ ცეცხლს შუა არის ჩვენი სიმონა: ამას ეშინია გაცხადონ, რომ მევახშის ხელშია, რომ ახალი კი არა, ძველი კრედიტიც არ დაკარგოს. გამგეობისთვის პირდაპირი პასუხის მიცემის ნაცვლად, სიმონა ფიცით და მტკიცით ცდილობს გამგეობა დაარწმუნოს, რომ ამ კაცს ის დიდხანს არ გააჩერებს, რომ ხარისა და ურმის პატრონია, რომ წელიწადში, თუმცა სხვის მიწას ამუშავებს, მაგრამ სამ თუმნამდის სიმინდს ჩამორჩება, ხუთ-ექვს თუმნამდის—პარკის მოსავალსა; გასათხოვარი (რომ მზითევი დასჭირდეს) სიძ[illegible] ჰყავს და არც თავის სი[illegible] ცოცხლეში (!) ეყოლება", რომ „სამ[illegible] კის პატრონია", რომელიც თუმც [illegible] პატარაა არიან (უფროსი 10 წლ[illegible] ლაში ჰყავს), მაგრამ მალე წამოიზ[illegible] და სხვა და სხვა, ყველა ამ [illegible] დან" გამგეობას ის დასკვნა გამო[illegible] რომ სიმონას ასი მანეთი „დასახარჯავ[illegible]" უნდა, და, რადგან ისედაც ბევრი (10 მან.) აქვს გატანილი „უსაგნოდ" [illegible] სესხზე გამგეობა სიმონას უარს უ[illegible] ჩვენ ვხედავთ აქ ახალი წესდების [illegible] ლების უკუღმურს მხარეს. როცა გა[illegible] ბისთვის შეუძლებელია (რაიონის სი[illegible] თოვის გამო) ყველა წევრთ დაახლ[illegible] ბით იცნობდეს, ის ასე არ იქცევა, ძველ „აღებ-მიცემის" ასესხებს ფულს [illegible] კიობაკად სესხის დანიშნულებისა და „წესიერება" ასეთ წესს[illegible].

შემდეგს წერილში დავინახავთ, რაივე გამგეობა, მხოლოდ ვიწრო რაიონის ამხანაგობისა, როგორ [illegible] „ნაცნობ" სიმონას [illegible] მოაგვარებს ვალის გასტუმრებას [illegible] სარგებლიანი შემოტანა [illegible] გაბრუნებითაა.

[illegible] იქმნა პარაკელი, რათა [illegible] გამარჯვება მოაპოვოს რუსეთს.—[illegible]

როსტოვი-დონისა. კავკავის რკინის გზის ხელოსნებმა და მუშებმა თავიანთ ...ობით 3000 სულამდე, პარაკლისი გა...ხადეს ტაძარში და მერე საგალობ... გალობით დაბრუნდნენ თავ-თავიანთ ...ლში.

ირკუტსკი. 3 თებერვალს გზათა მი...ტრი მოვიდა ირკუტსკის სადგურზედ. ...გებნენ: გუბერნატორი, უფროსი და ...ელნი რკინის გზისა. მინისტრმა დაა...ლიერა მმართველობა და 5 საათზედ ...მართა ლისტვენიჩნოეს.—მობილიზა...ს პირველმა დღემ დიდის აღფრთოვა...ით ჩაიარა. წესიერება და მშვიდობია...ობა არაფრით არ დარღვეულა. 3 თე...რვალს საღამოზედ გაიგზავნა პირველი ...ლონი ჯარებისა პორტ-არტურს.

ვენა. ავსტრია-უნგრეთმა განაცხადა,— ...ეთ-იაპონიის დროს ნეიტრალიტეტს ...იცავო.

პორტ-არტური. პორტ-არტურში მშვი...დობიანობაა. ჯარები პოზიციებზედ დგა...ნან.

...უწყებიან, რომ იუანშკაიმ გამოუცხადა ...ავისს ჯარებს ჩინეთის ნეიტრალიტეტის ...ახებ და გაჰგზავნა მცირე რაზმი ჩინე...თის საზღვრების დასაცველად მანჯურიის ...ლობლადაო.

...იაპონელებმა, როგორც ისმის, დაიქი...ეს ხუნხუზები, რათა ამოქმედონ რკი...ნის გზის წინააღმდეგ მანჯურიაში.

ჯარების საომარ ფეხზედ დაყენება ...ენივრად მიდის. მეფისმოადგილეს რუ...ეთის ყოველ კუთხიდან მოსდის მისალმე...ბის დეპეშები, როგორც ჯარებისაგან, ...მცხოვრებთა და დაწესებულებათაგანაც. ...იალუში მშვიდობიანობაა.

ტომსკი. ციმბირის რკინის გზებზედ ...არ იღებენ კერძო გასაგზავნ საქონელს.

ვენა. უნგრეთის დელეგაციამ მიიღო ...ჯეტი გარეშე საქმეთა სამინისტროსი ...გამოუცხადა ნდობა გრაფ გოლუხო...ს. მინისტრ-პრეზიდენტმა ტისსამ გა...ხადა, რომ რუსეთი და ავსტრო-უნ...გრეთი ერთსა და იმავე აზრს ადგანან ბა...ლკანეთის ნახევარ-კუნძულის საქმეშიო და ...თლდება ის იმედი, რომ ავსტრია-რუ...სეთის შეთანხმება დარჩება ძალაში იმ შე...ევაშიაც-კი, ბალკანეთში status quo-ს ...ცვა შეუძლებელიც რომ იყოსო. რუსეთი... და ავსტრია-უნგრეთის მთავრობანი ...ლებულნი შეიქმნენ, მათდა დამოუკიდე... მიზეზთა გამო, ახალს გზას დასდგო...ნენო.

...იანძინი. (რეიტერის სააგენტო). იუ...შიკაიმ ოფიციალურად აცნობა აქაურს ...რანგეთის გენერალს, როგორც უცხო...ს ჯარის მთავარ-უფროსს, აზრი ბაო...ფუნდგან ჩინეთის საიმპერატორო ჯა...ს გაგზავნისა, რომელიც ზეგ უნდა მო...ს. მან განაცხადა, რომ ჯარები შანჰაი...ს კი არ იგზავნება, არამედ ძინ...ესა და გოუბანძის თემებში ლიაო...დაო. ჩინეთის ტერრიტორიაზედ შე...ლების ნებას არ მისცემენ. თითო...ეულს კაცსა და რაზმს ორისავე მებრძოლ ...მწიფოთა, იარაღს ...ან.

...ოკიო. („...სააგენტო“). ია...ნელნი ამბობენ, ...რომ რუ...ებს ...ყავთ თავიანთი ჯა...რომ ...დააყენონ იალუდგან ...ოეთით, რადგანაც მოელიან, ...იქ მოხდება დიდი შებრძოლე... იაპონელებთანაო.

...კიო. („ვოლფის სააგენტო“). ია...ის ნაღმიანი გემები ძებნის დროს შე... ვლადივოსტოკის ესკადრამ.

...ვაი. („რეიტ. საავ.“) ტოკიოდგან ...უწყებიან, რომ როგორც ხმა ისმის, კრეი...ბი „ბოგატირი“, „გრომობოი“, „რო...ი“ და „რიურიკი“ დაბრუნდნენ ვლა...ივოსტოკში.

...ოკიო. („ჰავას. სააგენ.“). სამი სა...ტრანსპორტო გემი კულიებითა და მასა...თ გასულ კვირას ნაგასაკისკენ წავიდა.

ჩეფულკო. რვა სატრანსპორტო გემი ... და სხვა გემები მასალით კორეის ...ისავლეთ ნაპირისაკენ წავიდნენ. კა...ერიის პატრულები იჩუფში გადაუსხამთ.

შანჰაი. („რეიტ. სააგენ.“). რუსეთის ...ჩი ბარონ როზენი მოვიდა.

ვაშინგტონი. სახელმწიფო დეპარტა...ტი ჰფიქრობს, რადგან სახელმწიფოები ...ნციპიალურად დაეთანხმნენ შეერთე...ლ შტატებს ნეიტრალიტეტის შესახებ, ...საქმე გადაწყვეტილად უნდა მივიჩნიო. ...ამასთანავე ჰფიქრობს, დაწვრილებით ...ლაპარაკება საჭირო აღარ არის, რად...გამით შესაძლოა დაირღვეს სახელმწი...ფოთა ერთგული თანხმობა და ამის გამო

არავითარი ნოტა აღარავის გაეგზავნებაო. თუ რომ ჩინეთში ნეიტრალიტეტი დაირღვა, გარდა მანჯურიისა, სახელმწიფოებს საკმარისი დრო ექმნებათ, რომ მოილაპარაკონ და ურჩს საერთო წინადადება გაუგზავნონ.

პეტერბურგი. იწერებიან პატრიოტიულ შეწირულობის შესახებ: უფიდგან— ზლატოუსტის საბჭომ 1000 მან., ნოვგოროდიდგან—ადგილობრივმა კლუბმა 10.0 მან., საბჭომ 2000 მან., ორიოლიდან— საბჭომ 5000 მან., ბაქოდგან—საბჭომ 15,000 მანეთი, პოლტავიდგან—საბჭომ 5,000 მან. და კერძო შეწირულებანი 1000 მან., მარიუპოლიდგან—მოხარჯეთა გამგეობისაგან 1000 მან., ნოვგოროდ-სევერსკიდგან—ქალაქის სამმართველოსა, საქალაქო ბანკის მოხელეთა და ქალაქის სასწავლებელთა მასწავლებლებისაგან ერთი პროცენტი ჯამაგირისა ომის გათავებამდე, პეტროზავოდსკიდგან—საბჭომ 1000 მან., ელციდგან—საბირჟო საზოგადოებამ 3,000 მან.

ჰელსინგფორსი. ადგილობრივნი ფინნი, სავსენი საერთო სამშობლოს სიყვარულითა, სურვილს აცხადებენ ჩაირიცხონ რუსეთის ჯარში. ყველა მხრიდგან თხოვნები მოდის შორეულ აღმოსავლეთის ჯარსა და ფლოტში ჩარიცხვის შესახებ. მარტო ჰელსინ ფორსში 120 კაცი თხოულობს მეომარ ჯარსა და ფლოტში მიგვიღეთო. ბევრი გამოცდილი მეზღვაური აცხადებენ სურვილს პორტ-არტურისა და ვლადივოსტოკის დოკებზე მიიღონ. არიან აგრეთვე მსურველნი, რომ წითელი ჯვრის მოწყალების დებად ჩაირიცხნენ.

ბელგიცკი. წითელის ჯვრის ადგილობრივმა კომიტეტმა დაადგინა 100 საწოლი მოაწყოს გასაგზავნად შორეულ აღმოსავლეთში.

პორტ არტური. ნაღმიან სატრანსპორტო გემის „ენისეის“ დაღუპვის დროს გადარჩენილნი ამბობენ: „გემი დაღნის ნავთსადგურს გარშემო ნაღმსა სდებდა და ამ დროს ქარმა და წყლის ტალღამ ნაღმს მოახვედრა, რომელიც ... ინა მხარეს დიდად დააზიანა. კომანდირმა ნახა, რომ გემი იღუპება და უბრძანა კომანდას თავს უშველეთო. საჩქაროდ ნავები ჩამოუშვეს. კომანდა ეხვეწებოდა საყვარელ კომანდირს ნავში ჩამჯდარიყო, მაგრამ იმან უარი სთქვა და დაემუქრა, რევოლვერს ვესვრი, ვინც საჩქაროდ თავს არ უშველისო. უკანასკნელად მიატოვა გემი ფულის ყუთის დარაჯმა. კომანდირი თავის ადგილს არ მოშორდა უკანასკნელ წუთამდე და გემთან ერთად დაიღუპა. მისი უკანასკნელი სიტყვა იყო: „თავს უშველეთ, ...აც შეგიძლიანთ, ჩემთვის ნუ დარდობთო“. ნაპირიდან დაბრუნებულმა ნავმა დარაჯიც გადაარჩინა, ხოლო კომანდირი ვეღარ იპოვეს. ასე იღუპებიან გმირნი, უბედურ შემთხვევის მსხვერპლნი, რომელნიც ასრულებენ თავიანთ მოვალეობას სამშობლოსა და მეფის წინაშე.

პორტ-არტურში ცვლილება არა მომხდარა-რა. ცინვანდაოში იაპონელების გამოჩენას გადაწყვეტით უარ-ჰყოფენ.— ციხის უფროსის ბრძანებით პორტ-არტურის ბულვრებზედ კვირაში ორჯელ დაუკრავს მუსიკა.

პეტერბურგი. გაემართა გაგრას პრინცი ალექსანდრე პეტრეს ძე ოლდენბურგელი. —ხელმწიფე იმპერატრიცებმა მარიამ თეოდორეს ასულმა და ალექსანდრა თეოდორეს ასულმა გააბედნიერეს თვისის მიბრძანებით წითელის ჯვრის ელისაბედის კრებული სათნოების დათა.

5 თებერვალი.

პეტერბურგი. 4 თებერვალს მათმა უდიდებულესობამ ნახა მესამე ბატალიონი მათი უდიდებულესობის I აღმოსავლეთ-ციმბირის მსროლელ პოლკისა. ბატალიონი მთლად საგზაოდ გამოწყობილი და დარაზმული, ფაფახ-ქუდებით, მოვიდა და დასდგა საზამთრო სასახლის ეზოში. სასახლიდან გამობძანდა ხელმწიფე იმპერატორი, ხელმწიფე იმპერატრიცა, ხელმწიფე მემკვიდრე და უავგუსტოესი მთავარსარდალი. მივიდა რა ბატალიონის მარჯვენა ფლანგთან, ხელმწიფე იმპერატორი მესალმა. დათვალიერების შემდეგ ხელმწიფე იმპერატორმა მიჰმართა ბატალიონს შემდეგის სიტყვებითა: „მე მოხარული ვარ, ძმებო, რომ შემთხვევა მომეცა ომში წასვლამდე თქვენის ნახვისა და გაცილებისა. დარწმუნებული ვარ, რომ თქვენ დაამყარებთ სახელსა და დიდებასა თქვენის ძველის პოლკებისას და მკერდითა თქვენითა დაიცავთ ძვირფასს სამშობლოს. გახსოვდეთ, რომ მტერი ჩვენი მამაცი, გამბედავი და ცბიერია. სულითა და გულით ვისურვებ თქვენს კარგა ყოფნასა და გამარჯვებასა მტერზე. მე მსურს დაგლოცოთ თქვენ, ძმებო, და თქვენთან ერთად ჩემი დიდებული პირველი აღმოსავლეთ-ციმბირის მსროლელი პოლკი წმინდისა ღირსისა სერაფიმე საროველ საკვირველ-მოქმედის ხატითა. ის იყოს მეოხ თქვენდა და გიძღოდეთ თქვენ. ბატონო აფიცრებო, გულით გმადლობთ, რომ თქვენის ნებაყოფლობით მიდიხართ. ერთხელ კიდევ გმადლობთ დიდათ თქვენ, ძმებო, გაკურთხოთ თქვენ უფალმა“. ბატალიონმა ხელმწიფის წინ გაიარა და ეძლივსა მეფის „მადლობას“, ბატალიონს უკან მისდევდა ბარგი. ხელმწიფე იმპერატორი კვლავ მიუბრუნდა ბატალიონს და უთხრა: „მშვიდობით, ძმებო“.

„პრავ. ვესტ.“-ში დაბეჭდილია: „გავიდა ერთი კვირა, რაც მთლად რუსეთი აღბორგებულია და შეუთავს მტერზედ, რომელმაც უეცრად შესწყვიტა დაწყებული მოლაპარაკება, მოპარვით დაგვესხა თავს და ამით უნდოდა ადვილად მოეპოვებინა გამარჯვება ომის დიდის ხნით წყურვილსა. ადვილი მისახვედრია, რომ მთლად რუსეთის საზოგადოებას მოუთმენლად სურს საჩქაროდ გადუხადოს მტერს სამაგიერო და გულის-ფანცქალით ელის ამბებს შორეულ აღმოსავლეთიდან. ერთსულობა და ძლიერება რუსეთის ერისა არა გვგონია აძლევდეს ვისმე ნებას მთელს დედა-მიწის ზურგზედ სჯობად მიიჩნიოს, რომ იაპონიას ღირსეული სასჯელი მიეწყვის თვისის ვერაგობისათვის და მშვიდობიანობის დარღვევისათვის. მაგ მშვიდობიანობის დაცვა ყველა ხალხისა და ერისათვის იყო მუდმივი სურვილი ჩვენის სათაყვანებელის მონარქისა. მაგრამ მთლად ვითარება დღევანდელის ომისა ისეთია, რომ მოთმინებით უნდა ველოდოთ ჩვენის გამარჯვების ამბებს. ეგ გამარჯვებაკი დაიწყება მაშინ, როცა ჩვენი ჯარი და მხედრობა ბეჯითად შეუდგება ლაშქრობას. მტერი ჩვენის ქვეყნის ფრიად შორეულს ძიწა-წყალს დაესხა თავს, იმ მიწა-წყალს, რომელიც სახელმწიფოს შუაგულიდან რამდენისამე ათასის ვერსის მანძილზეა. ...ჯარი ... მთავრობას გულწრფელად ...ცვა მშვიდობიანობისა და ამი... შეუძლებელი იყო დროზედ მოვმზადებულიყავით საომრად. ამიტომ მცირედი დრო არ დაგვჭირდება იმისათვის, რომ ისეთი მა...ცხი მივცეთ იაპონიას, რომელიც შეესაბამებოდეს რუსეთის ძლიერებას, რომელმაც ნაკლებად დაგვაღვრევინოს ძვირფასი სისხლი რუსთა და თან ღირსეული სამაგიეროს გადახდაც იყოს ჩვენის კადნიერად ომში გამომწვევის ერისათვის. მაშ, მოთმინებით ელოდოს რუსეთის საზოგადოება მომავალს ამბებს და სრული დარწმუნებული იყოს, რომ ჩვენი მხედრობა ერთი ორად გადაუხდის ჩვენის გამოწვევისათვის ომში. ამიტომ არც უნდა ველოდოთ და არც შეიძლება ველოდოთ სასწრაფო ამბებს ჩვენის ლაშქრობისას. ამაოდ ღვრა რუსთა სისხლისა, აქაო და ჩქარა გადვუხადოთ სამაგიერო მტერსაო, საკადრისი არ იქნებოდა რუსეთის დიდებისა და ძლიერებისათვის. ჩვენმა სამშობლომ ამ ცოტა ხანში ისეთი ერთსულობა გამოიჩინა, ისეთი სურვილი ყოველის თვისის სარჩო-საბადებელის გაწირვისა ძვირფასის მამულის სასარგებლოდ, რომ ეჭვი არ არის, ყოველი სარწმუნო ცნობა ლაშქრობისა დაუყოვნებლივ ეუწყება მთლად რუსეთის საზოგადოებას.

დეპეშა გენერა ლ-მაიორ ... ფლუგისა პორტ-არტურიდგან, 4 თებერვალს მიღებული მთავარს შტაბში: „იუანშიკაიმ აცნობა თავისს ჯარებს ჩინეთის ნეიტრალიტეტის შესახებ. ის ჰგზავნის ძინჯოუ-ფუს 2,500 კაცისაგან შემდგარს რაზმს, რათა ქალაქში მშვიდობიანობა დაიცვას.

პორტ-არტურში არავითარი ცვლილება არ მომხდარა.

ინკოუში მშვიდობიანობაა.

მტკიცდება ის ცნობა, რომ იაპონელები ადგნენ ხუნხუზთა ბრბოს, რათა ერთს დროს თავს დაეცნენ რკინის გზასაო.

იალუში მშვიდობიანობაა. მზვერავთ ამბავი მოიტანეს, რომ მტერი არა სჩანს იალუდგან 50 ვერსის მანძილზედაო.

შანჰაიდგან, როგორც ისმის, იუწყებიან, რომ შანჰაი-ნაგასაკს შორის დაიწყეს მოსვლა სწრაფმა გემებმაო“.

გარეშე საქმეთა სამინისტროსაგან: იაპონიაში საფრანგეთის კრეისერის «პასკალის» უფროსის დეპეშისა, 3 თებერვალს ეს კრეისერი გავიდა ჩემულპოდგან, რათა გადასხას შანჰაიში რუსეთის ელჩი, დ. ს. ს. პავლოვი, 62 რუსეთის ქვეშევრდომი, რუსეთის სამხედრო გემების „ვარიაგისა“ და „კორეეცი“-ს უფროსნი, 16 ოფიცერი და 268 დაბალი ჯარის-კაცი ამავე გემებისა. ევროპის სხვა-და-სხვა ადგილებიდგანა და მახლობელ აღმოსავლეთიდგან მოდის დეპეშები თანაგრძნობის წერილები რუსეთისა და ზიზღისა იაპონიის მთავრობისადმი, რომ მათ უეცრად დაიწყეს საომარი მოქმედება და აღავლენენ ლოცვას უზენაესისადმი, რომ რუსეთის მხედრობას მიენიჭოს გამარჯვება. ამნაირი წერილები მიიღეს: სერბიის სკუპშჩინისაგან, რუსთა კლუბისაგან ბელგრადში, რუსთა ახალშენისაგან ვეიმარში, ერთ-ერთ ჩეხთა საზოგადოებისაგან პრაგაში, სერბიის სასულიერო უწყებისაგან კრალიევში, ბალჩიკის ქალაქის მცხოვრებთაგან, სერბიის თავისუფალ საზოგადოებისაგან კრაგუევაცში, ქალაქ ვიდდინის სასულიერო წოდებისა და მცხოვრებთაგან, ქალაქ შუმლის მცხოვრებთაგან, ფილიპოპოლიდგან, ბრაილოვიდგან, ბრატცკოვიდგან, სლოვენცოვიდგანა და ქალაქ ტრიესტიდგან, აგრეთვე მსოფლიო და ანტიოქიის პატრიარქებისაგანაც.

მისმა უდიდებულესობამ 4 თებერვალს მიიღო უქვეშევრდომილესი დეპეშა შორეულ-აღმოსავლეთის ნამესტნიკისაგან: „უქვეშევრდომილესად მოვახსენებ თქვენს უდიდებულესობას შემდეგს დეპეშას კრეისერების რაზმის უფროსის, პირველ ხარისხის კაპიტნის რეიცენშტეინისას: „დილით 29-ს გავანადგურე გემი „ნაგური-მარუ“ და იქიდამ გადმოვსხი 41 კაცი. ამ დროს მოვიდა პატარა სანაპირო გემი; რადგანაც ახლადაღელვებულს ზღვის ზვირთებს ყინულის თოში მოსდევდა, ამ გემიდამ ხალხის გადმოსხმა არ შემეძლო და ამისათვის ეს გემი არ დავღუპე. უამინდობის გამო ზღვის ნაპირ-ნაპირ ვეღარ წავედი და შესტაკოდისაკენ გავემართე იმ განზრახვით, რომ გაშლილ ზღვაში ფურთვნსათვის გამეძლო და კორეის სანაპიროებისთვის მიმეღწია. ზღვის აღელვების გამო ზვირთებთან ბრძოლა შევიძელ მხოლოდ 10 ვერსის მანძილზე და ... ამასთან, წყალიც შემოგვწვდა და 9 გრადუსიანმა ტეხვრამ კრეისერები გაჰყინა, ხოლო ზარბაზნებს ყინული მოეკიდა. სამის დღის განმავლობაში ორს საშინელს ღელვას გავუძელ.

დროებითი რედაქტორი **გრ. ყიფშიძე.**
გამომცემელი **ა. სარაჯიშვილი.**

პეტერბურგის ბირჟა

3 თებერვალი 1904 წ.

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონში 10 გირვ. სტ.	94,25
ბერლინში 100 მარკაში	46.02½
პარიჟში 100 ფრანკში	37,50
ლონდონში ჩეკები	95,05
ბერლინში „	46,30
პარიჟში „	37,72½
ბირჟის დისკონტი	5½—7½%
4% სახელმწიფო რენტა	93¼ ნის გაყ.
4% სახ. სესხი 1902 წ.	—
4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამულო ბანკისა	92½ მყ.
5% პირ. შინაგ. მომგ. ბილ. 1864 წ.	265 ნის.გაყ
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	307
5% გირავნ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა	252 ნის. გაყ.
5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ.	—
4½% ობლიგაც იმავე საზოგადოებისა	—
4½% ტფილ. საადგ. მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ.	—
5% გირავნობის ფურც. იმავე ბანკისა	—
6% ქუთ. საად. მამ. ბანკის გირ. ფურცლ.	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	—

4 თებერვალი.

რკინის გზის მიმოსვლა.

15 დეკემბრიდან 1903 წ.

(ნაჩვენებია ტფილისის საათით)

ა) ტფილისიდან მიდის:

ბათომს: 1) დილის 8 ს. 8 წ. 2) საღამოს 6 ს. 28 წ. 3) შუადღის 2 ს. 58 წ. (მხოლოდ ბორჯომამდე).

ბაქოს: 1) შუადღის 1 ს. 8 წ. 2) საღამოს 10 ს. 28 წ. 3) დილის 7 ს. 34 წ. 4) საღამოს 5 ს. 28 წ. (**მოსკოვს** მიმავალი, მხოლოდ საშაბათობით).

ყარს-ერევანს: 1) შუადღის 1 ს. 28 წ. 2) საღამოს 11 ს. 13 წ.

ბ) ბათომიდან გამოდის:

ტფილის-ბაქოსაკენ: 1) დილის 9 ს. 32 2) ღამის 12 ს. 8 წ.

გ) ბაქოდან:

ტფილის ბათომისაკენ: 1) შუადღის 1 ს. 58 წ. 2) ღამის 11 ს. 28 წ. 3) დილის 4 ს. 48 წ. (მხოლოდ პარასკევობით); 4) დილის 4 ს. 48 წ.

დ) ქუთაისიდან:

ბათომისაკენ: 1) შუადღის 3 ს. 18 წ. 2) ღამის 1 ს. 58 წ.

ტფილის-ბაქოსაკენ: ღამის 3 ს. 58 წ.

ე) შორაპნიდან:

ჭიათურა-დარკვეთისაკენ: 1) დილის 6 ს. 58 წ. 2) საღამოს 5 ს. 58 წ.

ვ) დარკვეთიდან:

შორაპნისაკენ: 1) დილის 11 ს. 43 წ. 2) ღამის 10 ს. 8 წ.

განცხადებანი

ქუთაისში
ს. ბ. თოფურიას
სამკურნალოში,

რომელიც იმყოფება მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშე, 75 საწოლია შინაგან, ნერვებისა, საქირურგო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთ განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდები სენითა და სულით ავადმყოფთ სამკურნალო არ ღებულობს.

ფასი დღე-ღამეში ჭამა-სმისა და მკურნალობისათვის 1 მანეთიდან 3 მანეთამდე.

გამოვიდა და ისყიდება ყველგან „ქართველთა შორის წ.-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მიერ ახლად გამოცემული წიგნები:

ქაჯანა

2.

ალი

მოთხრობა მისივე, ფასი 10 კაპ.

წიგნების გამოწერა შეიძლება ფას-დადებითაც შემდეგის ადრესით: Тифлисъ. Общество распрстр. грамотности.

წიგნის მაღაზია „ცოდნა“-სი გამოცემა

გამოვიდა და ისყიდება ახალი წიგნები

გრიგოლ ორბელიანის ლექსები სურათით	20 „
წმინდა გიორგის რაზმი	5 „
სამეგრელოს სერო სკოლები ლოლუას და ჩემი გამოცემა	5 „
სიმღერა აკაკისა	15 „
თამარ მეფე	5 „
ვაჭრული ჭკუა	5 „
დათუნა გოცირიძე და **როსტომ ერისთავი** ძველებური ამბავი აკაკისა	5 „
პატარა ჩონგური ლექსები (დედა-ენა)	5 „
ოქრუა (ხალხური ზღაპარი)	5 „
ორი ქოსატყუილა / **ბიჭია მენახშირე** / **მეფე და სკვინჩა** — ხალხური ზღაპარი	10 „
აბრამის და იობის ლექსი	3 „
სურათი თამარ მეფისა	5 „
კულტურა ლიპერტისა	50 „
ლექსიკონი რუსულ ქართული მინერალოგ. ასტრონომ. ზოოლოგ. და ტეხნიკ. სიტყვებისა. კ. ყიფიანისა	50 „

აქვე ისყიდება ყოველ გვარი ქართული წიგნები ჩვენი გამოცემანი.

ვინც მოისურვებს წიგნების დაბარებას არა ნაკლებ ორი მანეთისა დაუყოვნებლივ გაეგზავნება ფას-დადებით.

ადრესი ფოსტ.: Тифлисъ. книжный магазинъ «ЦОДНА»
მაღაზიის პატრონი **სოსიკო მერკვილაძე.** 10—2